სახალხო გაზეთი

№ 776 კვირა, 16 დეკემბერი 1912 წ.

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშ.-ლკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.—რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სახალხო გაზეთზე“

წელიწადი მეოთხე

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის-მომწერნი არიან, 1913 წლის განმავლობაში **მიიღებენ**

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის გამოჩენილ მწერლებისა, ზომით იქნება არა ნაკლებ **400 გვერდისა** და წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **იანვრის დასასრულს.**

2) ქართველი მწერლები.

ამ წიგნში შევა ქართველ მწერალთა სხვა დ სხვა ნაწარმოებნი, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული ზომით იქნება არა ნაკლებ **500 გვერდისა** და წლიურ ხელის-მომწერთ **დაურიგდებათ ენკენისთვეში.**

გაზეთის ფასი როგორც ტფილისში, ისე მის გარედ ღირს წელიწადში ისევ 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ., ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის ფასი

	წლ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
ტფილისში და მის გარედ	8 მ. 50 კ.	8 მ. —	7 მ. 50 კ.	6 მ. 75 კ.	6 მ. —	5 მ. 25 კ.	4 მ. 50 კ.	3 მ. 75 კ.	3 მ. —	2 მ. 25 კ.	1 მ. 50 კ.	— 75 კ.
საზღვარ გარედ	11 მ. 50 კ.	10 მ. 75 კ.	10 მ. —	9 მ. —	8 მ. —	7 მ. —	6 მ. —	5 მ. —	4 მ. —	3 მ. —	2 მ. —	1 მ. —

ცალკე ნომერი ყველგან შაური; დამატებიანი ნომერი შვიდი კაპიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის-მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე . . . 3 მ.,
1 აპრილამდე . . 2 მ.,
1 თიბათვემდე . . 2 მ.,
1 ენკენისთვემდე . . 1 მ. 50 კ.

2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს.

2) ქ. შორის წერა-კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა.

3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“. поч. ящ. 190.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

სოფიო გიორგის ასული შვილებით დიმიტრი და ნინ როსტომაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას საყვარელ სიძის

ი-დ იური მიხეილის ძე ჭავჭავაძისას

1642.

ი-დი იური მიხეილის ძე ჭავჭავაძე

ნებითა ღვთისათა გარდაიცვალა 13 ქრისტეშობისთვეს, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ქვრივი კნ. ელენე ივანეს ასული, ძმა ნიკოლოზ მიხეილის ძე და და ელენე მიხეილის ასული სუხოდოლსკისა.** 1641.

დღეს, 15 ქრისტეშობისთვეს, ვერის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ევდოკია (ევდო) მიხეილის ასულის ხოსიტაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები: **ილიკო, იროდიონ, თომა, ასულნი მარიამ და ბაბილინა, რძლები ნინო, მანანა და ოლღა, სიძე ნიკოლოზ კურდღელაშვილი.** წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი—11 საათზე. 1—1580—1.

ქართული თეატრი ტელ. № 797.

კვირას, 16 დეკ., ქართ. დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგ. იქნება პირველად მიმდინარე სეზონში **სიმახინჯე**, დრ. 4 მ. ნ. შიუკაშვილისა.

2) **უბედური დღე,** მხიარული ვოდ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: აბაშიძე, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ბერიშვილი, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1623 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზოგ. ადმინისტ.

სახალხო ავლაბრის სახალხო თეატრი წარმოდგ. № 18.

კვირას, 16 ქრისტეშობისთვეს, 1912 წ.

ავლაბ. ქართ. სახალხო წარ. მმართ. წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწილ. წარმოდგენილი იქნება **ხახელგანთქმული** 4 მოქმედ. კომედია:

ქალა ალმართსა ხნავს გად. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობენ წრის მთელი დასი. **დასაწ. საღ. 8 ს.** ადგ. ფასი 10—50 კ.

კვირას, 23 ქრისტეშ., წარ. იქნებ. ვ. ყიფიანის ცნობილი დრამა **„სამეგრელოს მთავარი ლევან“.**

1636. მორიგი გამგე **ზ. ფორაქაშვილი.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

საბენეფისო წარმოდგენა

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, 1912 წ. ქართ. დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ვალ. ლევ. გუნიას საბენეფისოდ

შექსპირის ტრაგედია

მეფე ლირი

5 მოქ. და 10 სურათ. თარგმანი თ-დ ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა.

ლირის როლს შეასრულებს მობენეფისე.

ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი.

მონაწილეობს მთელი დასი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი საბენეფისოა. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. 1623.

№ 15. **კ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი** № 15.

კვირას, 16 დეკემბ., ქართ. სახ. წარ. წრ. მიერ წარმოდ. იქნება **მეორედ**

უმუშევარნი, დრ. 4 მოქ. ბელოისა, თარგ. ლ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ს. რამანიშვილი-დგებუძისა; ბ-ნნი: ნ. გოცირიძე, თვალჭრელიშვილი, ს. რომანიშვილი, გ. ფრანგიშვილი, ნ. ქანკვატაძე და სხვანი. ადგილ. ფასი 5—50 კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** ,,წრის'' ადმინისტრ.

ანონსი: შემდეგი წარმ. გენა 27 დეკ. 1627

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი.

კვირას, დილით, 16 დეკემბერს, 1912 წ.

„ტფ. ქართულ საამხანაგო მომღერალ მგალობელთა გუნდი“.

(დაარსებული 1912 წ.)

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით გამართავს

„სახალხო კონცერტს“ ლექციით

(გუნდის ფონდის გასაძლიერებლად).

1) **ივანე ნასიძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **,,ძირითადი ფორმის მნიშვნელობა ხელოვნებაში''.** 2) გუნდი 40 კაცისაგან შემდგარი და საკუთარ შეკერილ ქულაჯებში და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი შეასრულებს როგორც ხალხურ სიმღერებს, ისე ბ-ნ **რატილის** მიერ გადაღებულ ევროპიულ სიმღერებსაც. **თ. ჯანდიერი** შეასრულებს კახურ ,,ურმულს'' **ძმ. კავსაძენი** ,,ზამთარს'', **ი. გოძიაშვილი** ,,ფანდურს'' და სხვა. **ფასები ორი შაურიდან ერთ მანეთამდე.** დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყისი შუადღის პირველ საათზედ.** კონც. გამგე **ნ. ჭრელაშვილი,** მორიგე წევრნი **ნ. კავსაძე, ნ. ლეჟავა.** 864.

მუსულმანთა აუდიტორია.

კვირას, 16 დეკემბ., ხარფუხის ქართ. სახალხ. წარ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილ იქნება

ქრისტინე, დრ. 4 მოქ. პ. ირეთელისა.

მონაწილეობ. მიიღებს წრის დასი. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგ. ფასი 4—40 კ.

მორიგე გამგეობის წევრი **ვ. კვიჟინაძე.** ადმინისტრაცია წრისა.

871, რეჟისორი **ს. პეპანოვი.**

ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიქორი

ს. ს. შამრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი

ხუთშაბათს, 20 და პარასკევს 21 ქრისტეშობისთვეს დანიშნულია ორი

ლექცია

ს.-პეტერბ. ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის პროფესორ
(1 სახ. სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფი)

გრედესკულისა

ხუთშაბათს, 20 ქრისტ. საღ. 8 ნახ. საათზე

პირველი ლექცია

„ეროვნული საკითხი დასავლეთში და რუსეთში“.

პარასკევს, 21—საღ. 8 ნახ. ს. **უკანასკნელი ლექცია**

„ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“

ბილეთები ყოველ დღე იყიდება არტისტიულ საზოგადოების კლუბის შვეიცართან (შესავალი გოლოვინის პროსპექტით, ქაშვეთიდან) დილის 10—2 ს. და საღამოს 22—23 ქრისტეშობისთვეს.

ნ. ა. გრედესკული ქუთაისში და ბათომში წაიკითხავს ლექციებს 26 და 27 ქრისტეშობისთვეს. 1645.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე.

წელიწადი მეცხრე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან** ◆ **,,ბიძია თომას ქოხი'',** ◆ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი ,,ნაკადული'' მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის ს.-მოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—,,ნაკადულის'' რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1591 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

ელექტრო-ტეხნიკური საწყობი

კ. ი. გურგენოვისა და გ. ი. ბეგოვისა

ტფილისი, სერგიევის ქუჩა, № 4.

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვინაიდან მომავალი 1913 წლის 1-ლ იანვრიდან საწყობი გადადის ახალი ფირმის **„სავაჭრო სახლი იაკობ სვიმონის ძე ბეგოვი“**-ს ხელში ამ მიმდინარე დეკემბრის 10-დან თვის დამლევამდე დანიშნულია **დიდი იაფი ვაჭრობა** საელექტრო ქალებისა და ყოველგვარ ელექტრონის გასანათებელი მასალებისა.

ფასები მეტად დაკლებულია. 860

პატივისცემით კ. ი. გურგენოვი და გ. ი. ბეგოვი.

გაგრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, ვისაც დასაკვეთ ფულის ნაწილი უკვე შემოტანილი აქვს დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გ დაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას.

გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ცირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

1865.
1870.
1882.
1896.
კალოშები
1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ
ТРЕУГОЛЬНИКЪ
ТОВАРИЩ. РОСС. АМЕРИКАНСК. РЕЗИН. МАНУФАКТ.
ტრეუგოლნიკ

1553

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის

თხზულებანი

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრიობა" 80 კ.
III „ „ნააზრევი" 65 კ.
IV „ წერილები „(ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. 85 კ.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მალალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. ე. ა. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½.
ქალთა და სამშობიარო სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თოკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., № 28 (განოვისქ. კუთხე). ტელეფ. 7—92.** 847

საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომადლ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ... ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ხეხილის ბაღები

ქართლის საუფლისწულო მამულისა,

ივრცით ორმოც დღიურამდე, **საუკეთესო ზამთრის ჯიშის მსხალი** და **ვაშლებისა,** რვა ვერსის მოშორებით სადგურ ქსნიდან, ამიერ კავკასიის რკინის გზისა, და ორმოც ვერსზე ქალაქ ტფილისიდან საქართველოს სამხედრო გზითა

იჯარით უნდა გაიცეს

ათის წლის ვადით, 8 ქრისტეშობისთვესა ამა წლისა, დილის 12 საათზე, ხსენებულ მამულის კანტორაში, სოფელ მუხრანში სტანცია ქსანკ, ამ. ვ. რ. გ.

ცნობების მიღება შეიძლება ამ მისამართით: **სადგური ქსანკა, ამ. ვ. რ. გ.** 842

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუტინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. ½ ს.

ახვლედიანი შინაგან. სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

მოსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. და შაბათ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ. დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. აკად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606"-

ნაფიც-ვექილ. თანაშ.

გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ს. ი. გძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ. № [illegible], [illegible] განყოფ. პირდ. 530

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სამშ. ხუთშ. 6—7 ს. მხოლოდ დილ 8—9 ს. კვირ. [illegible] მოსკოვის ქუჩა № 2. [illegible]

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

(დასასრული *)

კონოვალოვი. სამღებრო მრეწველობა რუსეთში ხანგრძლივ კრიზის განიცდის. ქვა-ნახშირისა და სალითონო მრეწველობა სწარმოებს მხოლოდ მთავრობის მხრივ დიდძალ თანხის გადადებით. სარკინისგზო მეურნეობის გამოცოცხლება აიხსნება ბოლო წლების მოსავალით. სანამ სასოფლო მეურნეობას მტკიცე საძირკველი არ ექნება, მანამ მრეწველობის სასურველი განვითარება წარმოუდგენელია. ხალხს არა აქვს სამეურნეო ცოდნა, არ იცის წერა-კითხვა, მისი უფლებრივი მდგომარეობა შეზღუდვილია: ყველა ეს ხელს უშლის მეურნეობის განვითარებას და წარმატებას. მთავრობა ვერა ჰბედავს სამოქალაქო რეფორმების შემოღებას, უამისოდ კი ჩვენი ქვეყნის მწარმოებელი ძალები ვერ განვითარდება. ჩვენი ჩამორჩენა შედეგია თავისუფალ შრომის უქონლობისა; მთავრობას არ უნდა დაავიწყდეს, რომ თავისუფალი შრომა მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო სამოქალაქო თავისუფლებასთან. იმ დროს, როდესაც სხვა სახელმწიფონი დიდის ნაბიჯით მიაბიჯებენ წინ, რუსეთი კუს ნაბიჯითაც ვერ მიცოცავს. საჭიროა ხალხის შემოქმედებითი ნიჭს მიეცეს ფართო გზა, თორემ ქვეყნის ეკონომიური წარმატება წარმოუდგენელია (მარცხნივ ტაშის-ცემა).

თავმჯდომარის ალაგი დაიჭირა როძიანკომ.

ჟურნალისტებისა და საზოგადოების ლოჟები გაჭედილია.

მინისტრთა ლოჟა დაიჭირეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და მინისტრებმა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. გავეცანი რა დეკლარაციის განხილვას, რომელიც გრძელდებოდა ოთხ დღეს, საჭიროდ ვთვლი მთავრობის სახელით სათათბიროს განმარტება მივცე. დეკლარაციის გამო ყველა აქ ნათქვამი სიტყვა ორ ნაწილად განიყოფება; უმეტესი ნაწილი სიტყვებისა იმდენად მთავრობის პროგრამის საწინააღმდეგოდ არ იყო მიმართული, რამდენადაც პროგრამის გამო იყო თქმული. წინადვე ვაცხადებ, რომ პირადული ხასიათის სიტყვებს პასუხს არ გავცემ; არ შევეხები პარტიათა შორისო ანგარიშებს, უყურადღებოდ დავტოვებ იმ სიტყვებს, რომელშიაც აღნიშნული იყო მთავრობის მოქმედების შეცდომა.

ყველაზე მძიმე ბრალდება მთავრობისკენ მიმართული არის განცხადება, ვითომც მთავრობის პროგრამა და კადეტების პარტიის საპოლიტიკო პროგრამა ერთგვარი იყოს. ნათქვამი იყო, თუ სტოლიპინი რუსეთის გულისათვის რევოლუციას დროს ართმევდა, კოკოვცევი რევოლუციისთვის რუსეთს ართმევს დროს. მაგრამ არ უნდა შეუშინდეთ ამ ბრალდებას. ამ სიტყვებს არავინ დაიჯერებს, როგორც თვით მოლაპარაკეს არ სჯეროდა თავისი სიტყვები; თუმცა ბრალდება მთავრობისა და კადეტების პროგრამის ერთგვარობაში, მხოლოდ ერთ შეთხვევაშია მართალი. კადეტების წარმომადგენელმა მაკლაკოვმა სამი დებულება გამოსთქვა: რომ რუსეთში დაცული იყოს კანონი, მთავრობას სათავეში ედგეს ძლიერი ნებისყოფა, რომელიც წეს-რიგს მფარველობას გაუწევს, მთავრობა უნდა ეძებდეს ისეთ ხალხს ვინც პოლიტიკურის დოკტრინიორობით არის შეპყრობილი და მთავრობამ ერთგულებაში და დამსახურებაში არ უნდა ჩამოართვას მოხელეებს შეგნებული დარღვევა კანონისა. ეს დებულებანი მთავრობის შეხედულებას სრულიად ეთანხმება.

კოკოვცევი შეეხო სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა სიტყვებს: პოლონელთა კოლოს თავმჯდომარის და მუსულმანთა წარმომადგენლის სიტყვები ფრიად მოსცემს. ვარშავის გუბ. წარმომადგენელი ამბობდა: მთავრობა პოლონელებს მარტო კეთილ განწყობილებას ჰპირდება, და ამავე დროს განაგრძობს ჰურისძიების და რუსიფიკაციის პოლიტიკას აწარმოებსო. მთავრობა პოლონელ ხალხისგან მოითხოვს ეროვნულ გრძნობის დავიწყებასაო. რამ გამოიწვია ამ გვარი განცხადება, დეკლარაციის რომელმა სიტყვამ აიძულა პოლონელთა წარმომადგენელთ ეს ეთქვა? იმის თქმისთვის რომ მთავრობამ დაპირებული არ აასრულაო, საჭიროა დამტკიცება. თუ რაიმე უსამართლობა იყო კანონის განხორციელებაში, მიგვითითეთ ამ უსამართლობაზე შემოიტანეთ შეკითხვა. თუ თვითონ კანონია უსამართლო, სცადეთ საკანონმდებლო გზით დაარღვიოთ კანონი. მთავრობამ ყოველი ზომა მიიღო, რაც შეიძლება ჩქარა გაეყვანა საქალაქო დებულებათა შემოღების საკითხი პოლონეთში, საერობო სამართველოს საქმეში მთავრობამ აღუთქვა შესაფერ კანონ-პროექტების შეტანება; მთავრობა ამბობდა: რუსეთი ერთია, თქვენ სცხოვრობთ პოლონეთის სამეფო გუბერნიის საზღვარებში, ეს კი რუსეთის ნაწილია, არავინ არ გიშლით მთელის ძალ-ღონით გიყვარდეთ სამშობლო, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის საერთო მუშაობას. პოლონეთის წარმომადგენელნი კრიტიკას უწევენ მთავრობის იმ კანონ-პროექტს, რომლის შინაარსიაც არ იცნობენ. მაშ სადღა იქნება საზღვარი შემდეგი მოთხოვნილებებისა? ვინ აახლებს მწვავე საკითხს, მთავრობის ლოზუნგის ნაცვლად: „შერიგება, მშვიდობიანობა და სამართლიანობა". მუსულმანთა წარმომადგენელი სცდილობდა გაებათილებინა სეპარატიზმის ბრალდება. ეს თავის მართლება გაკვირვებას იწვევს ჩვენში, რადგანაც ეჭვიც არ გამოგვითქვამს იმისა, რომ მუსულმანები რუსეთის მოქალაქენი არ არიანო. განა ამ ხალხმა, რომლის ნაწილიც რუსეთის სკიპტრას დაემორჩილა, არ გამოსცადა რუსეთის მთავრობის სათუთი მზრუნველობა მის ეროვნულ თავისებურების სარწმუნოებისადმი?

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გადავიდა პოლიტიკის მემკვიდრეობის საკითხზე და სთქვა: მთავრობას ფრიად მძიმე საყვედური უთხრეს: დავიწყებულია ძველი ეროვნული იდეალებიო. ამის დასამტკიცებლად გარდა ვიბორგის მრევლის გამოყოფისა, არაფერი უთქვამთ. მაგრამ ამ მრევლის გამოყოფა ფრიად დიდ ყურადღებასა და სიფრთხილეს მოითხოვს, რადგანაც იგი სხვა იურიდიულ, ეკონომიურ და ადმინისტრატიულ პირობებში იმყოფება. ამ საქმეში ეროვნული იდეალების დამარხვის დანახვა ნაადრევია. მოსალოდნელი იყო, რომ გვისაყვედურებდნენ აგრეთვე დავიწყებას მინისტრთა საბჭოს განსვენებულ თავმჯდომარის პოლიტიკის ქვაკუთხედისას — საადგილ-მამულო რეფორმას, მაგრამ მთავრობის მოქმედებამ ამ მხრივ მხოლოდ მემარცხენე ორატორების კრიტიკა გამოიწვია. მთავრობა ამ ძირითად საკითხში ჰმოქმედებს იმ გეგმით, რომელიც გვიანდერძა მინისტრთა საბჭოს განსვენებულ თავმჯდომარემა არის პოლიტიკამ. მთავრობა იცავს საადგილ-მამულო კანონის ნორმას, არა მარტო პოლიტიკურ მემკვიდრეობის დასაცავად, არამედ იმიტომაც, რომ მხოლოდ ამას შეუძლიან რუსეთი დააყენოს განვითარების შეურყეველ საფუძველზე.

კოკოვცევმა განიხილა საყვედური, ვითომც დეკლარაცია გამოურკვევლობით ხასიათდება, ვითომც მთავრობა ირყეოდეს და იხრებოდეს მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ. ამ ბრალდების დასამტკიცებლად [illegible] არ იყო დასახელებული. მთავრობა თავის მოქმედებაში [illegible] არც მემარჯვენეთა, არც მემარცხენეთა და არც შუაგულისაკენ. მთავრობა პირდაპირის გზით მიდის. შესაძლებელია ეს გზა ნარ-ეკლიანი იყოს, მაგრამ მთავრობა გულწრფელად მოიქცა: მთავრობამ გითხრათ, თუ რა გზაზე ადგია და რა დუღაბით არის შეკავშირებული კანონ-პროექტები. ეს დუღაბი სამი ძირითადი პრინციპია: შეურყეველ და განსაზღვრულ წეს-რიგის დამყარება, ყოველმხრივი განვითარება ქვეყნისა, მწარმოებელ ძალისა და სასურველი მშვიდობიანი ცხოვრების შექმნა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნებისთვის. მთავრობა მოგიწოდებთ: კმარა მტრობა, ქიშპობა და შუღლი! დროა შეუდგეთ მშვიდობიან მუშაობას. დეკლარაციაში რა არის მეტი, და რა ნაკლები, ამის გამორკვევა შეიძლება მხოლოდ ყოველ-დღიურ საკანონმდებლო მუშაობით. მთავრობის საკანონმდებლო მოსაზრებანი დამყარებულია ეროვნულ იდეაზე.

აქ გამოსთქვეს შიში, რომ მთავრობა დაპირებულს ვერ შეასრულებსო. მთავრობა არავითარ პირობას არ იძლევა: მას შეაქვს სათათბიროში დასრულებული კანონპროექტები. თუ სათათბიროს წევრნი უნდობლად ეჭვით იხელმძღვანელებენ საკანონმდებლო მუშაობაში, ისინი ვერ გასცილდებიან სიტყვებს. ქვეყანა კი მოუთმენლად ელის ნაყოფს, ელის სიტყვიდან საქმეზე გადასვლას. (ტაშის-ცემა ცენტრში და ნაციონალისტებში) რაც უფრო ჩქარა გადავალთ კრიტიკიდან რეალურ მუშაობის ნიადაგზე, შეიძლება ეს მუშაობა არ იყოს გარეგნულად ბრწყინვალე, მაგრამ ხალხისთვის სასარგებლო იყოს და მით უფრო უკეთესი იქნება.

დასასრულ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამბობს: ერთი სიტყვითაც არ შევეხები გარეშე პოლიტიკის საკითხს. ხელმწიფე იმპერატორმა დამავალა მეცნობებინა სათათბიროსთვის ის პირობეიბი, რომელშიაც უხდება რუსეთს მიმდინარეობა. უნდა დიდის სიხარულით აღვნიშნო, რომ თუ შინაურ გარემოების დაფასებაში ვერ შევთანხმდით, თუ ამ საკითხში სასტიკმა წინააღმდეგობამ და აზრთა სხვა და სხვაობამ იჩინა თავი, გარეშე პოლიტიკის საკითხში კი ამ გვარ წინააღმდეგობას და აზრთა შეჯახებას ადგილი არა ჰქონდა. ეს დიდი ნუგეშია. რაგვარი განსხვავება არ უნდა იყოს შინაურ ცხოვრების დაფასებაში, გარეშე საკითხში ამ გვარი განსხვავება არ არსებობს. გზა, რომელიც აირჩია თვითმპყრობელმა ხელმძღვანელმა გარეშე პოლიტიკის საკითხში, არის პირდაპირი და სწორე გზა. იგი დამყარებულია რუსეთის ისტორიულ მცნებაზე და ჩვენი სამშობლოს ინტერესების დაცვაზე. (ხანგრძლივი ტაშის ცემა ცენტრში და ნაციონალისტების სკამებზე).

გამოაცხადეს შეკითხვა, მიმართული შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრისადმი. გაზეთების ცნობების გამო პეტერბურგის საშუალო სასწავლებელებში უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბების და მოწაფეთა გაჩხრეკის და დაპატიმრების თაობაზე.

155 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 135-სა, სათათბირომ დაადგინა შეკითხვის განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადადოს.

თავმჯდომარემ მიჰმართა სათათბიროს: ჰსურს თუ არა სათათბიროს, მივანდოთ პრეზიდიუმს სამადლობელო დეპეშა გაუგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს, გუშინდელ ყოვლად მოწყალე მიღების გამო? ხმები: „გთხოვთ", „გთხოვთ".

შინგარევი ეკამათება შიდლოვსკის საპირადო საკითხის გამო. ჩემ სიტყვებში ერობათა მიმართ საყვედური არ იყო. ავღნიშნე მხოლოდ ცალკე მოვლენანი ერობის გადაგვარებისა.

შემდეგი სხდომა 14 ქრისტეშობისთვეს მოხდება.

14 დეკემბერი.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

გამოაცხადეს სათათბიროში შეტანილ საქმეთა სია; მათ რიცხვში არის სოც.-დემ. განცხადება, მიმართული შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებისადმი, საზოგადო საქმეთა პეტერბურგის საქალაქო უწყების უარის გამო, მუშათა საპროფესიო კავშირების საკითხის განსახილველ საქმეთა სიაში შეტანაზე. ოქტომბრისტების საკანონმდებლო

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 775.

მოსაზრება სასტატო ინსტიტუთა რეფორმისა და მემარჯვენეთა კანონპროექტი — საყოველთაო სწავლის შემოღებისა.

განიხილეს პროგრესისტების და კადეტების მიმართვა შინაურ საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებისადმი განმარტების მისაღებად პეტერბურგში მომხდარ კრების გამო, რომელიც მოხდა ერთ-ერთ კერძო სასწავლებელში და 34 მოსწავლეთა დაპატიმრების გამო.

ბარიშნიკოვი. პოლიციამ მოწაფეთა დამამცირებელი ზომები მიიღო. მთავრობამ საპედაგოგიო პერსონალის მიმართ უნდობლობა გამოიჩინა: მართალია, საშუალო სასწავლებლებში არსებობს მოძრაობა, მაგრამ ამას პოლიტიკასთან საერთო არა აქვსრა. მოძრაობა გამოწვეულია იმით, რომ საშუალო სასწავლებელი ცხოვრებას მოწყვეტილია. მოლაპარაკე მომხრეა, მიიღონ შეკითხვა.

როდიჩევი. სახალხო წარმომადგენლობამ ამის გამო პროტესტი უნდა განაცხადოს. კმარა მტრობა, კმარა სისასტიკე ბავშვების მიმართ.

რუსანოვი. საშუალო სასწავლებელს ის უბედურება ემუქრება, რაც უმაღლეს სასწავლებელს დაატყდა თავს. მოწაფენი გონების წყურვილის მოსაკლავ საშუალებას ეძებენ, სულიერ მოთხოვნილება მათი ფართეა, მაგრამ ვერ ჰპოებენ, რადგანაც მოწყვეტილნი არიან ცხოვრებას, ოჯახს. მასწავლებელსა და მოსწავლის შორის ზღუდეა ამართული.

კოვალევსკი. მთავრობის განმარტება არ გვაკმაყოფილებს. იქ ბევრი რამ არის გამოურკვეველი. საჭიროა შეკითხვას დაუჭიროთ მხარი.

ეპისკოპოზი ანატოლი. ბავშვის მოსარჩლეობა სიტყვით კი არა, საქმით უნდა, რომელიც სკოლის მისისტემის რეფორმამ უნდა შეიცავდეს. ამის გაკეთება ხელდახელ შეუძლებელია. საკითხი გამოურკვეველია, ამისთვის უნდა კომისიას გადაეცეს.

პურიშკევიჩი. მემარჯვენენი შეკითხვის მომხრენი არიან, მაგრამ იმ მიზეზების გამო კი არა, რომელიც როდიჩევმა დაასახელა. მთავრობას, რომელმაც სასტიკ ზომებს მიჰმართა, საკმაო მიზეზები ექნება; და რაც არა სთქვა კოკოვცევმა, იმას გვეტყვის სახალხო განათლების მინისტრი.

უკამათოდ დაამტკიცეს ამიერკავკასიის, ყუბანის ოლქისა და ტფილისის გუბერ. არჩევნები. სათათბირო გადადის დეკლარაციის განხილვის გაგრძელებაზე.

სახელმწიფო საბჭო

14 დეკემბერი.

გოლუბევი თავმჯდომარეობს. გაგრძელდა სავაჭრო დაწესებულების მოსამსახურეთა დასვენების შესახებ კამათისა.

გრიმმი ამტკიცებს ვაჭრობის დროისა და დასვენების მოწეს-რიგების საჭიროებას; კომისიამ სათათბიროს კანონ-პროექტი გააუარესა. საფაბრიკო კანონმდებლობა აწესრიგებს სამუშაო დღის ხანგრძლივობას, მუშათა ფასს, უქმეებში დასვენებას, მცირე-წლოვანთა დასვენებას; ესევე უნდა მოიქცეს კანონი სავაჭრო მოსამსახურეთათვის. მოლაპარაკეს სისულელედ მიაჩნია ის პოლიტიკა, რომელიც ცხოვრების მოთხოვნილებათა ზრდას სარევოლუციო თავ-რეტს ეძახის. ეხლანდელ დროში არ ვარგა ურთიერთ შორის შუღლის გაღრმავება; შინაურ მშვიდობიანობის დაცვა მეტად საჭიროა, რადგანაც იგი მომასწავებელია სახელმწიფო გარეშე სიძლიერისაც. არა კლასიური კერძო ინტერესები, არამედ საერთო ბედნიერება უნდა იყოს უმაღლეს კანონად.

მ. კოვალევსკი სავაჭრო მოსამსახურეთა შრომის მოწესრიგებაში სოციალიზმს ვერა ჰხედავს, რადგან ეგევე ხდებოდა საშუალო საუკუნეში, როცა სოციალიზმი არ იყო. პირ-იქით, საქარხნო კანონმდებლობა სცდილობს სოციალიზმს ძირი გამოუთხაროს. პროტექციონური სისტემა კერძო პირთა ბედნიერებას არ ემსახურებოდა. თუ სახელმწიფო პროტექციონიზმი მესაკუთრეებს იცავს, მოვალეა მუშაც დაიცვას მესაკუთრეთა თვითნებობისგან.

თავისუფალ მოცალეობას არ შეუძლიან მოაწესრიგოს მესაკუთრეს კაპიტალისტთა და არაფრის მქონე— მუშათა ურთიერთობა.

ფონ-დიტმარს სასურველად მიაჩნია დასვენების დროისა და დასვენების მოწესრიგება.

ტიმირიაზევიც ფონ-დიტმარს ემხრობა. საბჭო ხმის უმეტესობით მუხლობრივ არჩევს კანონ-პროექტს. **გრიმმს** საჭიროდ მიაჩნია, რათა კანონი ქალაქის გარე უბნებსაც ეხებოდეს.

გრიმმის შესწორების წინააღმდეგნი არიან **ვაჭრობის მინისტრი** და **ზ-ნოვიევი**. გრიმმს ფონ-დიტარი იმხრობა, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია კანონმა ყველა სავაჭრო დაწესებულებებში იმოქმედოს და ყველა მშრომელს საშუალება მისცეს ნაშრომით სარგებლობისა.

კენჭის ყრით გრიმმის შესწორება უარჰყვეს.

შემდეგი სხდომა 15 ქრისტიშობისთვეს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ტრამვაის ახალი შტო**. ქალაქის გამგეობა ტრამვაის დირექციას შეეკითხა, როდის შეუდგება ტრამვაის შტოს გაყვანას კახეთისა და ნავთლუღის ქუჩის კუთხიდან, ქალაქის სალახანის ახალი შენობისაკენ, ნავთლუღის რკინის გზის სადგურამდეო.

◆ **წესიერი დასვენება**. ტფ. პოლიცმეისტერმა ბოქაულებს განუმარტა ახალ სავალდებულო დადგენილებანი და დაავალა, უბრალო დღეებში ღამის 11 საათამდე ვაჭრობის ნება აღარ დართონ იმ დაწესებულებებში, სადაც განსაკუთრებით ხორცით, თევზეულობით ან სხვა ამგვარ სანოვაგით არა ვაჭრობენ, არამედ სხვა და სხვა საქონელით და სანოვაგით. საგასტრონომიო მაღაზიებიდან 11 საათამდე ვაჭრობის ნება აქვთ მხოლოდ იმ მაღაზიებს, სადაც სხვა საქონელს არა ჰყიდიან, ან სხვა საქონელისთვის განსაკუთრებული შენობა აქვთ, რომელიც საღამოს 7 საათზე უნდა დაიკეტოსო.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი** პეტერბურგიდან ტფილისს 22 ქრისტიშობისთვის დაბრუნდება.

◆ **ხორცის ნიხრი**. ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ გუშინ, 15 დეკემბერს, საცდელად საქონელი დაჰკლა, რათა შეემოწმებინა, რამდენად სამართლიანია ახლანდელი ნიხრი ხორცზე. კომისიამ საჭიროდ დაინახა, გირვანქა ძროხის ხორცზე ერთი კაპეიკი მოუმატოს, ე. ი. 12 კაპ. ნაცვლად 13 კაპ. დააწესოს, ხოლო ცხვრის ხორცზე 14 კაპ. ნაცვლად 15 კაპ. ღორის ხორცი 14 კაპ. უნდა გაიყიდოს.

◆ **ბიბლიოთეკა-სამკითხველო ქალაქის თვითმართველობაში**. ქალაქის საბჭოს საკმაო ფული აქვს გადადებული ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად. ჟურნალ-გაზეთები უკვე გამოწერილია, მაგრამ მოსამსახურენი მით ვერა სარგებლობენ, რადგანაც ჟურნალ-გაზეთები სხვა და სხვა განყოფილებაშია გაფანტული და მათი მოძებნა ყველასათვის საძნელოა. ამის გამო გუშინ, 15 დეკემბერს, ქალაქის მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მზრუნველ კომისიის თავმჯდომარემ, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, რომლითაც საჭიროდ სთვლის, ერთი ოთახი დაუთმოს ქალაქის თვითმმართველობის შენობაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ბ-ნ სტეფანოვის აზრით, ამავ შენობით ისარგებლებენ გაზეთების წარმომადგენელნიც, რომელთაც ამ ჟამად ცალკე ოთახი არა აქვთ.

◆ **პოლიტეხნიკუმი**. დღეისთვის დანიშნული შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიისა ორშაბათ, ხვალისათვის. კრება საღამოს 7 საათზე დაიწყება ქალაქის გამგეობის სადგომში. კრებამ უნდა მოისმინოს ვრცელი მოხსენება იმ დეპუტაციისა, რომელიც ტფილისის პოლიტეხნიკუმის საქმის გამო ბაქოში იყო წასული.

◆ **სამართალში მისცეს** სპარსეთის ქვეშევრდომი სარქის გევარგიზოღლი, რომელმაც პოლიციელს ქრთამი შეაძლია.

◆ **ხარჯთ-აღრიცხვა**. კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 135,446 მ.

◆ ახალი საეკლესიო წიგნები **აფხაზურ ენაზე**. ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ თავის ხარჯით გამოსცა საეკლესიო და სასწავლო სახარება და წირვის საგალობლების ნოტები. თარგმანი ეკუთვნის სოხუმში შემდგარ საკანგებო კომისიას დეკანოზ გ. გოლუბცოვს.

◆ **ექსკურსია**. შობის უქმებში ტფილისში ჩამოვა იმპერატორ ნიკოლოზ მეორის სახელობის ვარშავის პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა ჯგუფი ინსტიტუტის ლაბორანტის ა. პ. სემენცოვის ხელმძღვანელობით. ექსკურსანტები ტფილისიდან ალავერდის სპილენძის ქარხნის დასათვალიერებლად გაემგზავრებიან.

◆ **არქ. დოსითეოსი** დღეს მწირველია ქართველ მეფეთა კარისად ყოფილ წმ. გიორგის ეკლესიაში, არქიელის მოედანზე. იგალობებს წმ. მარინის სამრევლო სკოლის მოწაფეთა გუნდი ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით. არქ. დოსითეოსი სამშაბათს, 18 დეკემბერს, მიემგზავრება მოწამეთის მონასტერში.

◆ **ქრისტიანობის აღმადგ.** საზოგადოების საბჭომ განიხილა დეკანოზ მ. პაშკევიჩის მოხსენება და დაადგინა: სამრევლო სკოლების სამაზრო მეთვალყურეებს 1912 და 1913 წლებში გზის ხარჯად აძლიოს 915 მან. თითოს.

◆ რესტ. „ბო-მონდ“-ის პატრონს გუშინ ოქმი შეუდგინეს, რადგანაც სამზარეულოში ბეჭედ დაუსმელი ხორცი აღმოაჩნდა.

◆ **სახალხო კითხვები**. დღეს, 16 დეკემბერს, კავკ. სამკ. საზოგადოების დარბაზში (ალექ. ბაღში) ბ. გარდიშლიანი სომხურად წაიკითხავს მცირე წლოვანთათვის: „შუშის დამზადება“, ქ-ნი ასათიანი ქართულად: „გულივერის მოგზაურობა“. დასაწყისი დილის 10 11 ს.

— ექ. მ. ფ. ფლორინი მოზრდილთათვის რუსულად წაიკითხავს „ანატომიისა და ფიზიოლოგიის პოპულიარული კურსი“. კითხვის დროს ბუნდოვან სურათებს უჩვენებენ. დასაწყისი საღამოს 5½—7 საათამდე.

◆ ზუბალაშვილის სახ. სახლში, დღეს, სახ. უნივერსიტეტის გამგეობა ჰმართავს სახალხო კითხვას. ტ. კ. მარქარიანცი რუსულად წაიკითხავს ლექციას: „უნებლიეობა და მასთან ბრძოლა“.

◆ დღეს შესდგება სახალხო კითხვები შემდეგ აუდიტორიებში:

1. საექიმო საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ქ-ნი ეკ. ასათიანი „გულივერის მოგზაურობა“.
2. [illegible] მოზრდილთათვის „სხვა და სხვა ხალხთა რწმენანი“, და ბავშვებისთვის: „ბულბული“, ანდერსენისა.
3. ნათლუღში ჟურული: „მარგალიტის ყელსაბამი“.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი** გვთხოვს მოვათავსოთ შემდეგი: 15 ქრისტიშობისთვიდან **ქალაქის მე-IV საფოსტო განყოფილებაში** (ტფილისის სატელეფონო ცენტრალური სადგურის ბინასთან, სამხედრო ქუჩა № 4, მიიღებენ ფულს რუსეთის შიდა გუბერნიებისა და საზღვარ-გარეთის ქალაქებში გასაგზავნს. ეს განყოფილებაც იმავ საათებში იქნება ღია, როგორც ყველა სხვა საფოსტო განყოფილებაში ე. ი. საქმე დღით დილის 8—1 საათამდე და საღამოთი 4-6 საათ. ხოლო კვირა-უქმე დღეებში—დილის 8—10 საათამდე.

◆ გ-ბერნატორის განკარგულებით სამართალში მისცეს პოლიციელნი კრანიჩენკო და კოჭალაშვილი. პირველმა მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენა ბაბილაძეს, ხოლო მეორემ სიტყვით შეურაცჰყო პაშკოვის ქალი.

◆ უკვალოდ დაიკარგა ჩარდახის მისახვევში (მეშვიდე უბანში) მცხოვრები ივანე თარხანოვი. თექვსმეტი წლისა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **„კაპეიკის კავშირის“ საზოგადოებას** 1912 წელს ხარფუხში შეუნახავს თავის ხარჯით ერთი თავშესაფარი, სადაც 35 ბავშვია მოთავსებული და უფასო საბავშვო სასადილო ნაძალადევში. 1912 წლისთვის საზოგადოებას ქველმოქმედებაზე გადადებული 6,745 მან. 07 კ.

◆ **რუსულ კლუბის წევრთა** საზოგადოების წლიური კრება 14 დეკემბერს მოხდა. დამტკიცებულ იქმნა 1912 წლის ანგარიში და 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. წელს კლუბს ნაღდი მოგება ხუთასი თუმანი ჰქონია. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა 44,000 მან. არის ნავარაუდევი. დასასრულ კლუბის ახალ მამასახლისების არჩევნები მოხდა.

◆ ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის კრება 14 ქრისტიშობისთვეს მოხდა შამხაროვისა და ლორის-მელიქოვის სახელობის სტიპენდიების გასანაწილებლად. კომისიამ შამხაროვის ორი სტიპენდია დაუნიშნა: ტფ. დედათა მეხუთე გიმნაზიის მოსწავლეს კარტაშიანცს. ლორის-მელიქოვის სტიპენდია დაუნიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ტერ-მიქელოვსა.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულოს** მორიგი კრება ხუთშაბათს, 13 ქრისტიშობისთვეს მოხდა. საკრებულომ შეამოწმა სამხედრო ბეგარისთვის ახლად გამოცხადებული ახალგაზრდანი და სამხედრო სამსახურში მათგან 3 კაცი ჩარიცხა, წელს სამსახურში სულ 228 კაცი უნდა მიეღოთ. ამ რიცხვს კიდევ აკლია 41 კაცი. შემდეგი მორიგი კრება საკრებულოსი ამ თვის 28 მოხდება.

◆ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მზრუნველ კომისიის კრება ზეგ მოხდება. განსახილველი საგნებია: 1) ანკეტა, 2) ტრამვაის უფასო ბილეთების შეძენა მოსამსახურეთათვის, 3) საჩუქრების განსაზღვრა და შეწევნის აღმოჩენა და სხვა.

◆ ქალაქის საბჭოს მორიგ კრებას, რომელიც ხვალისთვის არის დანიშნული, 4 საკითხი აქვს განსახილველი: 1) ბაქოში პოლიტეხნიკუმის საქმის გამო წასულ დეპუტატის მოხსენება ამ დეპუტაციის მოგზაურობის შესახებ, 2) განცხადებანი 25 ხმოსნისა და საგალანტერეინო და საგასტრონომიო მაღაზიების პატრონების წესიერ დასვენების ახალ სავალდებულო დადგენილებათა მესამე და მეთორმეტე მუხლის შეცვლის საჭიროების შესახებ, 3) გამგეობის მოხსენება ცენტრალურ საავადმყოფოს მახლობლად ნამყოფ ჯურჯუნცევის ქვრივისთვის შეწევნის აღმოჩენის შესახებ და 4) ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ ორშაბათს 17 ქრისტიშობისთვეს საღამოს 8 საათზე მოხდება ქართულ სამეურნეო საზოგადოების მესაქონლეობის სექციის კრება, მომავალ 1913 წლის მოქმედების გასათვალისწინებლად.

სასწავლებლებში

◆ ტფ. მიძინების ეკლესიასთან არსებული ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელსაც თავის ხარჯით ინახავს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება, ორ კლასიან სკოლად იქმნა გადაკეთებული.

◆ **შიოევის სახელობის საქალაქო სკოლა**. როგორც თავის დროზე [illegible] ბულ ფულით დაარსოს სამხატვრო-სახელოსნო სკოლა განსვენებულის სახელობისა. გუშინ, 15 დეკემბერს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, შესაძლებლად ხომ არა სცნობთ, რომ განზრახულ სკოლის მაგივრად დაბალი ტიპის სატეხნიკო სასწავლებელი დაარსოთო.

ქუთაისი.

◆ დღეს, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გაიმართება „ილიას დილა“.

◆ ქუთაისის **სახალხო უნივერსიტეტი** საღამ-საღამოობით მეცადინეობას 16 ქრისტიშობისთვიდან იწყებს.

◆ ახლო მომავალში გაიმართება სალიტერატურო საღამოები: ქუთაისში, ხონში, ფოთში. ამ საღამოებში მონაწილეობას მიიღებენ: ბ. ვ. ბაქრაძე, ი. ევდოშვილი, ვ. რუხაძე, ქურჩიშვილი, ს. აბაშელი, მ. წულუკიძე და სხვები.

◆ ზუგდიდის მაზრის უფროსი ბ-ნი ლავროვი დაინიშნა რაჭის მაზრის უფროსად. ზუგდიდში ლავროვის ალაგზე დაინიშნა როტმისტრი ჩერნიაევი.

◆ ტფილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ბ-ნი სლავინსკი.

◆ ს. კორბოულში (შორაპნის მაზრა), გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო ი. ს. გაბაშვილის სახელობაზე „მერცხალი“.

ხონი

◆ ამ თვის 26 ხონში გაიმართება „ილიას საღამო“.

სოფლად

◆ **სახალხო სახლი და თეატრი**. მარტყოფის სახალხო სამკითხველოს სამზრუნველოს შეუდგენია გეგმა სახალხო სახლისა და თეატრის, როგორც გავიგეთ, მთელ ხარჯს ეწევა ერთი ბაქოელი ქართველი ქველმოქმედი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში მოთავსებულ წერილის ბოლოს „წერილი პეტერბურგიდან“ **დაბეჭდილია**: „ბედმა სათათბიროში მარტოობა გარგუნათ, ვინატრით, მაგ მარტოობას თქვენი ენერგია და სულის სიმტკიცე **„გაგათკეცებისა“** ამ **წელს** ხელს აწერს თხუთმეტი კაცი“. **უნდა იყოს „გაათკეცებინოს“ და ამ წერილის“.**

სასამართლოს განყოფილებაში დაბეჭდილია: „გაარჩა საქმე ოლღა სოლომანოვისა“ **უნდა იყოს „ანნა (იგივე ოლღა) სოლოლაშვილისა“.**

ქუთაისი ამ-კარგი

ჩვენი დაწესებულებაა და მოვალეობა არ გვმართებსო. ასე ფიქრობენ ყოველი ჩვენთაგანი როცა ქართულ დაწესებულებასთან აქვს საქმე. ამ ნაირადვე სჯის თურმე ქუთაისის ქალაქის გამგეობაც. მას სადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული ჰქონია ქალაქის რამდენიმე მამული და, როგორც მოსალოდნელიც არის, სავალო გადასახადი დროზე არ შეაქვს. ბანკს ხსენებული მამულები სავაჭროდ დაუნიშნავს. ვაჭრობის დღეს მაინც მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქის თვითმართველობა თავს შეიწუხებდა და გაიხსენებდა, რომ გადასახადის შეუტანლობას შეიძლება შედეგად მამულების გაყიდვაც მოჰყვეს.

როგორცა სჩანს ვაჭრობის დღეს არავის გახსენებია ქალაქის გამგეობაში, რომ ქალაქი შეიძლება მშრალზე დარჩეს და ქალაქის მთელი მამულები სავაჭროდ გამოცხადდა. კიდევ კარგი, რომ მსურველი ამ მამულების ყიდვისა არავინ გამოჩნდა, თორემ საშინელი სირცხვილი დაემართებოდა ქალაქს.

ვფიქრობ, რომ დაუდევრობა ამაზე შორს ვერსად წავა.

⁂

ჩვენ ჩვენსავე დაწესებულებას, რომ არაფრად ვაგდებთ და შინაურულად გვინდა ყოველი საქმის გამოჰახრაკება, უცხოელებმა ეს კარგად იციან და, ჩვენის მაგალითით წაქეზებულნი, აბუჩადაც აღარ გვაგდებენ. ამის მაგალითი 11 დეკემბერს გვიჩვენა საოპერეტო დასმა. მან დანიშნა თავისი პრიმადონის თამარა გრუზინსკის ბენეფისი 11 დეკემბრისათვის და ადგილებს უდიერი ფასები დაადო.

მიუხედავად ამისა ხალხმა თეატრის დარბაზი გაავსო იმ იმედით, რომ ფასის დაგვარათ სიამოვნებასაც მიიღებდა.

ფარდა [illegible] დასი ჩქარობდა, რადგან იმავე ღამეს 11½ საათზე უნდა წასულიყო. ოპერეტის პირველსა და მეორე მოქმედებას ბევრი რამ გამოაკლეს, დეკორაციებიც-კი არ შესცვალეს, მაგრამ საზოგადოება პროტესტს არ აცხადებდა მესამე მოქმედების მოლოდინში, როცა მოელოდა, რომ „მხიარული ქვრივი“ საქანელას უჩვენებდა. აიხადა ფარდა, საქანელა არსად იყო. ხალხმა მოითხოვა მის ჩამობმა, სცენიდან ვერ უპასუხეს, რომ თეატრი სამისოთ მოწყობილი არ არისო და როცა არც ამან გასჭრა, სცენიდანვე განაცხადეს, ჩვენ აფიშაში საქანელა გამოცხადებული არა გვაქვს და ამიტომ ვერ მოგვთხოვთო. შეიქნა სტვენა, რომელიც ოპერეტის გათავებამდის არ შეწყვეტილა: სტვენითვე გააცილა თეატრიდან გამოსულმა საზოგადოებამ სადგურზე მიმავალი არტისტები რომლებიც ყურსაც არ იბერტყავდნენ, რადგან საღამოს შემოსავალი 900 მანეთზე მეტი ჩაიჯიბეს.

⁂

რა-კი აბუჩად აგდებაზე დავიწყე ლაპარაკი, ბარემ ამით გავათავებ. აქაურმა დრამატიულმა საზ. 9 ამთვეს თავის საშუალებათა გასაძლიერებლად კლუბში საღამო გამართა. 6-7 წელიწადია საქველ-მოქმედო საღამოების პროგრამებს თვალს ვადევნებთ და ისეთი ულაზათო არა გვინახავს-რა, რაც 9 დეკემბერს ვნახეთ. ორი ულაზათო ვოდევილი ქართულსა და რუსულ ენაზე და ერთი საუხონჯო სცენა „ლალატიდან“ ამოღებული. ყოველივე ეს დაგვირგვინა თამარა გრუზინსკის და ორი სხვა მომღერლის მონაწილეობამ. ყველა კითხულობდა—ვისთვის იყო საჭირო ვოდევილი რუსულ ენაზე? ვის წასაკითხავად დაუმზადებინათ პროგრამები რუსულ ენაზე? ნუ თუ ქართულად არ შეიძლებოდა იმის გამოცხადება, რომ საკონცერტო განყოფილება ცეკვის დროს მოხდება და სხვა?

ყოველივე ამით საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა და სამართლიანი საყვედურებიც ისმოდა.

რად ინება დრ. საზ. გამგეობამ ეს, როცა უნარიცა და მოხერხებაც ჰქონდა უკეთესად მოეწყო საღამო, თუ აქაც აბუჩად აგდებაა საზოგადოებისა?!

სასამართლო

კირილე ლორთქიფანიძისა, დავით ბაქრაძისა და სხვათა საქმე.

14 დეკემბერს ქუთ. სასამართლო პალატამ ბ-ნ [illegible] თავმჯდომარეობით განიხილა საქმე ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა. საბრალმდებლო ოქმის მიხედვით საქმის გარემოება ასეთია:

ქ. ქუთაისის მცხოვრებთ: კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძეს და დავით ნიკოლოზის ძეს ბაქრაძეს ბრალსა სდებდნენ, რომ პირველი ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობის დირექტორად ყოფნის დროს 1900 წ. მეორე კი ამავე საზ. საბ. წევრად ყოფნის დროს 1900—1904 წლამდე, ბოროტ-განზრახვით, რათა შეძლება ჰქონოდათ უფრო მეტ კრედიტით ესარგებლნათ, ვიდრე ამის უფლებას აძლევდა ბანკის წესდება, ანაღდებდნენ თავის ხელმოწერილ თამასუქებს, როგორც თამასუქის მიმცემი, ისე როგორც თავდებიც. მაგრამ არ მოისაზრეს ის გარემოება, რომ ყველა გაცემულ ასეთ თამასუქებით ვალი რამდენიმე ათასზე მეტი გახდა და ბოლო დროს თავის დროზე ვერ გადაიხადეს. როდესაც ამ თამასუქების გამოსყიდვის დრო დადგა, თამასუქები არ განაღდებინეს „პროტესტში“ არ გაუშვეს; ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ საზოგადოებამ 3000 მან. მეტი იზარალა.

ქუთ. მცხოვრებ ლევან პეტრეს ძე კოკოჩაშვილს, ქ. ახალციხის მცხოვრებ სტეფანე პეტრეს ძეს ფირალოვს და ქუთ. მცხოვრებ კონსტანტინე რომანოზის ძეს გოცირიძეს, ჰბრალდებოდათ შემდეგი: ისინი საკრედიტო საზოგადოების საბჭოს წევრები იყვნენ 1900 და 1904 წლამდე და ამ ხნის განმავლობაში, ბოროტ-განზრახვით, რათა თავისთვის და სხვებისათვის საზოგადოებიდან კრედიტის უკანონოდ სარგებლობის საშუალება მიეცათ, შემდეგი მოიმოქმედეს: 1) **კოკოჩაშვილმა**, როდესაც მის მიერ ხელმოწერილ 1110 მან. თამასუქის დახსნის დრო მოვიდა, რომელიც განაღდეს ძმ. ა. და ნ. გამრეკელოვებმა, „პროტესტში“ არ გაუშვა და ამით „საზოგადოების“ წინაშე პასუხისმგებლობა [illegible] საზოგადოების ზარალი 300 მანეთზე მეტი. ეს თანხა კოკოჩაშვილმა წარადგინა ბოროტ-მოქმედების გამოაშკარავების შემდეგ; 1) **ფირალაშვილმაც** ასეთნაირი საქმე მოიმოქმედა 1000 მანეთის ვექსილის შესახებ, რომელიც მისი ხელმოწერილი იყო და ბ. აბესაძემ განაღდა. საზოგადოებამ იზარალა ამის გამოდ 300 მანეთზე მეტი. ნახევარი ამ თანხისა ბრალდებულმა საქმის გამოაშკარავებამდე შეიტანა, დანარჩენი კი შემდეგ. 3) **გოცირიძესაც** ასეთი საქმე ბრალდება და მხოლოდ მის მიერ მოწერილი და დ. ჭიჭინაძის მიერ განაღდებული თამასუქი 360 მანეთს უდრიდა. ეს ფული გოცირიძემ მხოლოდ მაშინ შეიტანა, როდესაც ძალა დაატანეს.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად დაინახა და ყველა ბრალდებული დამნაშავედ სცნო. ამის გამო გამოიტანა განაჩენი, რომლითაც თავ. კ. ლორთქიფანიძეს, 71 წლისა, აზ. დ. ბაქრაძეს, 72 წლისა, და აზ. კ. გოცირიძეს მიესაჯა, ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და პირველ ორს—3 ნახ. წლის საპყრობილე თითოს, გოცირიძეს კი 3 ნახ. წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ლ. კოკოჩაშვილს, 55 წლ. და ს. ფირალოვს, 62 წლ., პირველს სამსახურიდან გამორიცხვა, მეორეს 4 თვის საპყრობილე და ორივეს ჯარიმა ხუთას-ხუთასი მანეთი.

ბრალდებულებმა ეს განაჩენი ტფ. სამოსამართლო პალატაში გაასაჩივრეს. პალატაში ბრალდებულთ იცავდნენ: ლორთქიფანიძეს ნაფ. ვექ. გელაზაროვი, ბაქრაძეს—ნაფ. ვექ. არწრუნი, გოცირიძეს—ნაფ. ვექ. დოლუხანოვი, ფირალოვს—ნაფ. ვექ. ლორთქიფანიძე და კოკოჩაშვილს— ნაფ. ვექ. თანაშემწე ქქოძე.

სამოსამართლო პალატა შეუდგა საქმის განხილვას 12 საათზე და 2 ნახ. საათამდე მოხსენების წაკითხვას მოანდომა. შემდეგ ბრალმდებლის თანაშემწემ წარმოსთქვა საბრალმდებლო სიტყვა. საბრალმდებლო ოქმის საზღვრები უფრო ვიწროა, ვიდრე ჩადენილი დანაშაული. გოცირიძის წინააღმდეგ ბრალდებაზე უარს ამბობს, რადგანაც დანაშაული ჩადენილი იყო 1904 წელს და ბრალმდებელმა საქმე მხოლოდ 1911 წელს აღძრა, მაშასადამე შვიდი წლის შემდეგ,

როდესაც ვადა გასული იყო. დანარჩენ ბრალდებულთა დასჯას მოითხოვს კანონთა დებულების 1155 მუხლის ძალით.

ნაფ. ვექ. **გელაზაროვი** ამტკიცებს, რომ საბრალმდებლო ოქმი სრულიად არ შეეფერება საქმის გარემოებას. ლორთქიფანიძეს უფლება ჰქონდა როგორც „საზოგადოების“ წევრს, ესარგებლა „კრედიტით“; „საზოგადოების“ წესდების ძალით უფლებაცა ჰქონდა, როგორც წევრს, სესხით ესარგებლნა. არც საქმისათვის უვნია. წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო, რომლის განკარგულებით რამდენდენჯერმე იყო რევიზია, თითონ მისცემდა ბრალდებულს სამართალში. არავის არ დაუმტკიცებია, რომ ლორთქიფანიძის მოვალეობაში შედიოდა თამასუქების განაღდება (უჩოტი) კ. ლორთქიფანიძეს ქუთაისში ეხლაც „არისტიდს“ უწოდებენ. მისი მოღვაწეობისათვის. იგი საოცარი ფაქიზი ზნეობის ადამიანია. საზოგადოებამ მოისურვა მისგან ვალის ჩამოხსნა, მაგრამ ლორთქიფანიძე წინააღუდგა, რათა ვალის გადახდა მოისურვა. არა მგონია, რომ ასეთი პატიოსანი მოხუცებული მოღვაწე ღირსი იყოს იმისი, რომ ციხეში ჩაჯდეს. იმედია პალატა გაამართლებს მას.

ნაფ. ვექ. **არწრუნი**. ბაქრაძეს არ ჩაუდენია ისეთი რამ, რომელიც 1155 მუხლის ღირსი იყოს. ეს მუხლი ეხება დანაშაულს, რომელიც ბოროტის განზრახვით არის ჩადენილი. ბრალდება დამყარებულია თამასუქების გაუნაღდებლობაზე. ბაქრაძეს კი ამის უფლება არა ჰქონდა და ვერ ჩაერეოდა ამ საქმეში. ბაქრაძეს თავისათვის კაპეიკიც არ აუღია. პირიქით საზოგადოების სამსახურისათვის დაჰკარგა თავისი მამული და შეძლება. ამიტომ თხოულობს მის გამართლებას.

ნაფ. ვექ. **ლორთქიფანიძე**. ფირალოვი თამასუქს აძლევდა ხოლმე აბესაძეს 1900 წლამდე. როდესაც საბჭოს წევრად აირჩიეს ბანკში, სესხით აღარ უსარგებლნია, თუმცა როგორც „საზოგადოების“ წევრს, ამის უფლება ჰქონდა. ის ვალიც, [illegible] მიეწერა, მას სრულიად კმა ჩაუთვალა კიდეც. თამასუქების განაღდება გამგეობის საქმე იყო და არა ბრალდებულისა. ამიტომ ფირალოვის ბრალდება, როგორც თანამდებობის პირისა, შეუძლებელია. ვექილი თხოულობს ბრალდებულის გამართლებას.

ნაფ. ვექ. **დოლუხანოვი**. „ბრალმდებელმა გოცირიძის ბრალდებისაგან უარი სთქვა ფორმალური მოსაზრებით, მაგრამ მე მინდა რომ პალატამ იგი საქმის ვითარების გამო გაამართლოს“. გოცირიძეს ბრალსა სდებენ დანაშაულობის გამო, რომელიც 1904 წლამდე ჩაიდინეს. გოცირიძე კი საბჭოს წევრად აირჩიეს 1904 წლის ბოლოში, ე. ი. მომხდარ ამბავის შემდეგ. „საზოგადოების“ იმ კრებას, რომელმაც დაადგინა დამნაშავეთა სამართალში მიცემა, ბრალდებული თავმჯდომარეობდა. გამოდის ისე, რომ გოცირიძემ თავისი თავი მისცა სამართალში. დანაშაული არავითარი არ ჩაუდენია. კიდეც რომ ჩაედინა, თანხა 290 მანეთია, ე. ი. 300 მან. ნაკლები და 11154 მუხლის ძალით გასამართლება არ შეიძლება. გარდა ამისა დანაშაულს ვადა გაუვიდა. გოცირიეს შეიძლება ემართა რამ ბანკისა, მაგრამ ანგარიში გაასწორა ბანკთან გაცილებით ადრე, ვიდრე მისი სამართალში მისაცემი დადგენილება მოხდებოდა. ამიტომ თხოულობს ბრალდებულის გამართლებას.

ნაფ. ვექ. თან. **ქქოძე** თხოულობს კოკოჩაშვილის გამართლებას.

სასამართლო პალატამ, 2 საათის თათბირის შემდეგ, გამოიტანა განაჩენი, რომლითაც კ. გოცირიძე სრულიად გაამართლა. დანარჩენნი ბრალდებულნი კი დამნაშავედ იცნო კ. ლორთქიფანიძე, დ. ბაქრაძე და ლ. კოკოჩაშვილის შესახებ ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა. მხოლოდ დ. ბაქრაძეს 1904 წლის მანიფესტის მიხედვით სასჯელი 1/3-დით შეუმციროს, ე. ი. 2 წ. და 4 თვის საპყრობილე მიუსაჯა.

ს. ფირალოვი საპყრობილიდან განთავისუფლებულ იქმნა, მხოლოდ მიესაჯა სამსახურიდან დათხოვნა. და 500 მ. ჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის ციხეში 6 თვით უნდა ჩაჯდეს.

მომხმარებელი

საკრედიტო, სამეურნეო და სხვა კოოპერატივების გამგეობა.*)

კოოპერატივის ნამდვილი განვითარება, ხანგრძლივობა და ბრწყინვალე მომავალი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა მისი ხელმძღვანელები და წევრები საკმაოდ იცნობენ კოოპერაციის შინაარს, მის ძირითად დებულებებს, მიზანსა და დანიშნულებას.

როგორც მომხმარებელი, ისე საკრედიტო, შემნახველ-გამსესხებელი, სამეურნეო და სხვა კოოპერატივების გამარჯვება პირდაპირ დამოკიდებულია შეგნებულ კოოპერატორების რაოდენობისაგან, ისეთ წევრებისაგან, რომელნიც საქონელს მუდამ საზოგადო მაღაზიიდან ყიდულობენ, საამხანაგო ბანკიდან ნასესხ ფულს საწარმოვო მიზნისთვის ხარჯავენ და ჰქმნიან ისეთ წყაროებს რომლებისგანაც დროზე ისტუმრებენ კოოპერატივს, აუმჯობესებენ თავის მდგომარეობას და მასთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებას; მუდამ ზრუნავენ თავის კოოპერატივისთვის; ცდილობენ მის აყვავებას, ესწრებიან კრებებს; შოულობენ ახალ წევრებს; ავრცელებენ კოოპერაციის იდეას, უხსნიან ყველას ურთიერთ-დახმარებისა და თვით მოქმედების მიზანსა და დანიშნულებას და იცავენ თავის კოოპერატივს მტრების შემოსევისაგან.

კოოპერატივის მოღონიერება შეუძლებელია და მისი საქმე ვერ წავა წინ მანამდი, სანამ წევრები არ შეიგნებენ კოოპერაციის მნიშვნელობას და კოოპერატივისადმი თავის მოვალეობას და ამიტომ ყოველი კოოპერატივის გამგეობამ და საბჭომ კოოპერაციის იდეის გავრცელებას საერთოდ და კერძოდ წევრების შეგნება-განვითარებას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და არამც თუ გამგეობამ და საბჭომ და მათთან ერთად კოოპერატივების მოწინავე ელემენტებმა, არამედ ყველამ,—ვისაც ოდნავ მაინც აქვს წარმოდგენა იმ ბრწყინვალე მომავალზე, რომელსაც უქადის ჩვენს სამშობლოსაც კოოპერატიული თანამშრომლობა და ვისაც ჰსურს ჩვენი ქვეყნის მოფენა კოოპერატიული დაწესებულებებით,—უნდა მიიღოს ყო[illegible] თლების გასავრცელებლად.

არ უნდა დავზოგოთ შრომა და ენერგია, არ უნდა შევუშინდეთ ხარჯს, რაკი ლაპარაკი კოოპერატიულ აღზრდა-განვითარებაზეა, ნამდვილ კოოპერატორთა ბანაკის შექმნაზე.

კოოპერატიული შეგნება-განვითარების გასავრცელებლად ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია საკოოპერაციო ჟურნალის გავრცელება ხალხის ფართე მასსაში და განსაკუთრებით კოოპერატივების წევრებს შორის. ყოველი კოოპერატივის გამგეობა უნდა ეცადოს, რომ ყოველმა წევრმა გამოიწეროს ჟურნალი (ღარიბებისთვის უნდა გამოიწეროს კოოპერატივის ხარჯით).

ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „პროგრესი“ ჰბეჭდავს პოპულიარულ ჟურნალს—„შრომის კავშირს“.

„შრომის კავშირი“-ს მიზანია: ხალხის ფართე მასსაში კოოპერაციისადმი ინტერესის გამოწვევა, მკითხველებისადმი საკოოპერაციო ცნობების მიწვდენა (კოოპერატიული ცხოვრების მიმოხილვა უცხოეთში, ჩვენში და რუსეთში); გამოჩენილ კოოპერატორებისა და კოოპერატიული ცხოვრების სულის ჩამდგმელების გაცნობა; კორესპონდენციების საშუალებით ადგილობრივ საკითხების გამორკვევა; ჟურნალში თავსდება აგრეთვე შესაფერი მოთხრობები, ლექსები, პიესები და წერილები: გიგიენაზე, ჯანმრთელობაზე, მიმდინარე თვალ-საჩინო საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრებაზე და სხვ. და სხვ.

მაგრამ რომ ჟურნალმა სავსებით დააკმაყოფილოს ის მოთხოვნილებანი, რომელთა წამოყენების უფლება აქვთ კოოპერატივის საკითხებით დაინტერესებულ პირებს საერთოდ და განსაკუთრებით კოოპერატივების წევრებს, საჭიროა დახმარება გამგეობისა და საერთოდ კოოპერატივების წევრებისგან.

დახმარება უნდა გამოიხატოს შესაფერ მასალებისა და ცნობების გამოგზავნაში და ჟურნალის გავრცელებაში, როგორც წევრებს, ისე არა წევრებს შორის.

ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, დანიაში და სხვაგან სახალხო კოოპერატიული ჟურნალები ასი ათასობით ვრცელდება. ჩვენში ჟურნალის გავრცელება ძლიერ სუსტათაა დაყენებული და ეს გარემოება კარგათ ეტყობა ადგილობრივ კოოპერატივებს. დრო კი მიდის, საკოოპერაციო მოძრაობა იზრდება და ასეთ პირობებში პირდაპირ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს წევრებს შორის შესაფერ ცოდნა-განვითარების გაუვრცელებლობა.

ვაცხადებთ რა ხელის მოწერის ძლიერ ხელსაყრელ პირობებს,[1] ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კოოპერატივების გამგეობები მოაწყობენ ჟურნალის გავრცელების საქმეს და გამოიწერენ მას ყველა წევრებისათვის.

სასურველია აგრეთვე, რომ ქალაქებში სამუშაოდ თუ სამსახურში მყოფნი პირები გაიღებდნენ თავის წვლილს და გამოიწერდნენ თავის სოფლებში გასაგზავნად ჟურნალის რამდენიმე ცალს. ამით ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ სოფელს და ამისთვის ისინი მალე მიიღებენ გულწრფელ მადლობას.

ძნელია ჩვენში გამომცემლობა. და ამიტომ სასურველია—ეს ქველმოქმედება კი არ იქნება, არამედ საქმისათვის ხელის შეწყობა—რომ ჟურნალის გამომცემელს, მომხმარებელ საზოგადოება „პროგრესს“, დაეხმარებოდენ ნივთიერად შეძლებულნი და თანაგრძნობი პირებიც.[2]

მოვუწოდებთ კოოპერატორებს სამისო ზომების მისაღებად.

„შრომის კავშირის“ რედაქცია.

P. S. ვთხოვთ გადმობეჭდონ სხვა გაზეთებმაც.

---

*) გთხოვთ წაიკითხოთ საკითხათ გამგეობის სხდომებზე და საზოგადო კრებებზე განიხილოთ.

[1] დაიბეჭდება ყველა გაზეთებში.

[2] ბაქოდან ცნობა მივიღეთ, რომ ი. მანსვეტაშვილს უკვე გადაუწყვეტია შესაფერი დახმარების გაწევა „შრომის კავშირი“-სათვის. სასურველია, რომ ბ. მანსვეტაშვილის მაგალითს სხვებიც წაბაძავდენ. „შ. კ.“ რედ.

აკაკის ლექსის გამო

მკითხველებს ეხსომებათ, რომ აკაკის გაშავების გახმაურების დროს ჩვენ მოვიყვანეთ ნაწილი ლექსისა, რომელიც შემდეგ გაზეთმა „კოლხიდა“-მ მოათავსა სრულიად, და რომელშიაც აკაკი ბ-ნ ე. გეგეჭკორს პურიშკევიჩს ადარებდა. ბ-ნმა აკაკიმ მაშინ დაბეჭდა განმარტება, რომელშიაც სწერდა, მართალია ეს ლექსი დავწერე, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როდესაც გეგეჭკორს არ ვიცნობდი. ეხლა [illegible] გაცნობის შემდეგ, აზრი [illegible] აკაკის ამ ლექსის მოსპობა განუზრახავს, მაგრამ ვეღარსად უნახავს, სადღაც გადაკარგულა. ეხლა კი აღმოჩენილა იმისთანა პირების ხელში, რომელთაც მისი სურვილის წინააღმდეგ გამოუქვეყნებიათ.

ეს განმარტება იმდენად არ შეეფერებოდა სინამდვილეს, რომ ჩვენ შევვრცხვა აკაკის მაგივრად და გავჩუმდით. ეხლა, როდესაც ბ-ნი ს. ლ. ბახტაძე ამჟღავნებს ამ ლექსის ისტორიას, ჩვენც ვუმატებთ პატარა ცნობას. ბ-ნი ს. ლ. ბახტაძე სწერს: „იმ ხანებში, როდესაც აკაკიმ ეს ლექსი დასწერა, ჩემთან ჩერდებოდა ბინად ქუთაისში; ერთხელ ტფილისიდან ჩამოვიდა, ამოიღო უბის ჯიბიდან, დღეს მისგან უკანონოდ შობილად აღსარებული, წამიკითხა და მართლა რომ ნამდვილი გულისწყრომით მამცნო, რომ ეს ლექსი ტფილისში არ დაუბეჭდეს“.

მართალი სწორედ ეს არის. ჩვენ რომ ლექსი გვქონდა, ის ხელთნაწერი კი არ იყო, არამედ აწყობილი და დაბეჭდილი ცალკე ფურცელზე. ბ-ნ აკაკის ლექსი გადაუცია ბ-ნ ს. ფირცხალავასთვის „ფასკუნჯში“ დასაბეჭდად. ლექსი აუწყვიათ, მაგრამ ბ-ნ ს. ფირცხალავას უხერხულად უცვნია ამნაირი შინაარსის ლექსის დაბეჭდვა „ფასკუნჯში“ და გადაუდვია.

მაშასადამე, თუ ლექსი არ დაიბეჭდა, ამის მიზეზი იყო არა თვით ბ-ნი აკაკი, რომელსაც ეხლა „აზრი შეუცვლია გეგეჭკორზე“, არამედ ბ-ნი ს. ფირცხალავა.

სიმართლე თუ გნებავთ, ეს არის.

ღია წერილი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის დავალებით, გამგეობის სასკოლო სექციამ მიჰმართა ქართულ სკოლებს შემდეგის წერილით: „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას აზრად აქვს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნებში ზოგიერთი ცვლილება მოახდინოს და ისე დაბეჭდოს შემდეგი გამოცემანი. ამ ჟამად გამგეობა სცდილობს სასურველი ცვლილება მოახდინოს „Русское Слово“-ს მე-II ნაწილში, რომლის დაბეჭდვა განზრახულია ახლო მომავალში. სახელმძღვანელოების შესწორების საკითხი გამგეობამ მიანდო სასკოლო სექციას, რომელმაც არა უგვიანეს მომავალ წლის იანვრისა უნდა წარუდგინოს გამგეობას სასურველად შესწორებული და დასაბეჭდად დამზადებული „Русское Слово“-ს მე-II ნაწილი“.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ შეგვატყობინოთ თქვენი და თქვენდამი რწმუნებული სასწავლებლის მასწავლებელთა მოსაზრებანი „Русское Слово“-ს მეორე ნაწილის შესახებ და დაგვისახელოთ, თუ რა ცვლილება მიგაჩნიათ სასურველად, რომ სასკოლო სექციამ სახელმძღვანელო წიგნის შესწორების დროს ანგარიში გაუწიოს თქვენს შენიშვნებსაც, რასაც იმედი გვაქვს დროზე მოგვაწვდით.

სასკოლო სექციის თავმჯდომარე
ალ. მდივანი.

სამძიმრის დეპეშები.

თელავი.

სოფელ ყვარლის საზოგადოება გულითადის მწუხარებით გლოვობს თავის საუკეთესო მამულიშვილის თ-დ იური მიხეილის ძე ჭავჭავაძის უდროოდ დაკარგვას.

ყვარლის წვრილ კრედიტის ამხანაგობა გლოვობს უდროოდ გარდაცვალებას ამხანაგობის დამაარსებლისა და საბჭოს თავმჯდომარის **თ. იური მიხეილის ძე ჭავჭავაძისას.**

ვექილი ქალები

8 ნოემბერს, სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიამ განიხილა ნაფიც-ვექილ ქალთა საკითხის კანონ-პროექტი. მემარჯვენეებმა სასტიკი იერიში მიიტანეს პროექტზე; პროექტის უვარგისობის მიზეზად ასახელებდნენ პროექტის შეუმუშავებლობას და გამოურკვევლობას. გარდა ამისა, მემარჯვენენი იმ გარემოებაზე უთითებდნენ, რომ კანონ-პროექტი აღძრულია მხოლოდ სათათბიროს თაოსნობით. იგი არ შეჰკითხებია არც მთავრობას, არც ნაფიც მსაჯულთა საბჭოს. [illegible] უარყოფას, თუნდაც კომისიამ მისი ძირითადი აზრი მოიწონოსო. კომისიის უმრავლესობა არ დაეთანხმა მემარჯვენეთა წინადადებას. მათის აზრით პროექტი შემუშავებულიც არის და არც ძირითადი აზრია გაუგებარიო. ყოველი მნიშვნელობა და აზრი ეკარგება ქალთათვის უმაღლეს სწავლის მიღებას, თუ კი გზას არ მივცემთ სწავლა ცხოვრებაში გამოიყენონო, ამტკიცებდნენ პროექტის მომხრენი.

8 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5 ხმისა, კომისიამ სათათბიროს რედაქციით მიიღო კანონ-პროექტი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

14 დეკემბერი

ათინა. სალონიკის მუსულმანთა საზოგადოებამ მეფეს ერთგულების დეპეშა გაუგზავნა.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო აბათილებს იმ ცნობას, ვითომც გენერალი სავოვი სტამბოლს წავიდა ქიამილ-ფაშასთან მოსალაპარაკებლად.

სამშვიდობო მოლაპარაკება.

ლონდონი. „დეილი-ტელეგრაფის“ სტამბოლელი კორესპონდენტი იტყობინება ოსმალეთის წინადადების შინაარს, რომელსაც რეშიდ-ფაშა წარუდგენს ხვალ კონფერენციას: საზღვარის ზოლი გაივლის საროსიდან შავ-ზღვაზე ბულგარეთ-ოსმალეთის საზღვრის მახლობლად. ადრიანოპოლი ოსმალებს რჩებათ, მაკედონიას, სალონიკითურთ მიენიჭება ავტონომია ოსმალეთის სუვერენიტეტის ქვეშ. ბულგარეთს მიეცემა ნავთსადგური ეგეის ზღვაზე, აგრეთვე სერბიას ადრიატის ზღვაზე. კონტრიბუციაზე ოსმალეთი უარს ამბობს.

პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტს შეუტყვია, რომ ოსმალეთის და მოკავშირე სახელმწიფოთა წინადადებები არის მხოლოდ საფეხური შემდეგი მოლაპარაკებისაა. რეიტარის ცნობით ბალკანეთის სახელმწიფოთა დელეგატები გაუკვირვებია ოსმალეთის წინადადებებს.

გაზეთებიდან.

საზღვაო ბრძოლა.

ათინა. საბერძნეთის ფლოტის უფროსი იუწყება, რომ 10 ქრისტიშობისთვეს დილით ოსმალეთის ფლოტი დარდანელიდან გამოვიდა და სანაპიროების სიმაგრეთა ფარგალში გაჩერდა. მტრის ნაღმოსნები დაწინაურდნენ და კუნძულ თენედოსს სროლა აუტეხეს. საბერძნეთის რაზმმა პასუხი გასცა ნაპირებიდან. კუნძულ ლემნოსიდან გაეშურა საბერძნეთის ფლოტი თავისიანების საშველად, მაგრამ ოსმალეთის ფლოტი ისევ დარდანელის სრუტეში მიიმალა.

კუნძულ მიტილენზე.

ათინა. საზღვაო მინისტრი ხიოსიდან რადიოტელეგრამით იტყობინება, რომ კუნძ. მიტილენზე ოსმალთა ჯარმა იარაღი დაჰყარა. 1700 ტყვე-ოსმალო მოლივის ნავთსადგურში გაიგზავნა.

ქ. იანინის გარშემო.

ათინა. სამხედრო სამინისტრო იუწყება: 7 ქრისტიშობისთვეს ეპირის ჯარმა ღენ. დამინოსის მეთაურობით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, აიღო ქ. კორიცა. ოსმალები უთავ-ბოლოდ გაიქცნენ და ბრძოლის ველზე მიატოვეს სამი ზარბაზანი. საბერძნეთის ჯარი სამი გზით მიიწევს წინ ბრანიცა—პლიასისა და ზომბან-კალივისკენ სადაც გროვდება საფანგოსის ხეობაში დამარცხებულ ოსმალთა რაზმები.

ოხრიდის ტბასთან

ბელგრადი. კორიცასთან დამარცხების შემდეგ გამოქცეული ოსმალთა რაზმი, რიცხვით 260 ჯარისკაცი 18 აფიცრით, ოხრიდის ტბასთან (სამხრ. ალბანეთში) დაჰნებდა სერბის ჯარს.

მოლაპარაკების შეწყვეტის შიში.

ლონდონი. რადგან ეშინოდათ, მოლაპარაკება არ შესწყდესო, რუსეთის დიპლომატიამ დაჟინებული თხოვნით მიჰმართა მოკავშირეთა წარმომადგენლებს, ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ მოლაპარაკება არ შესწყდესო.

მოკავშირეთა სამშვიდობო პირობანი.

ლონდონი. მესამე სხდომა ნოვიკოვიჩის თავმჯდომარეობით მოხდა. ოსმალეთის რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ თანახმა არიან ბერძნებმაც მიიღონ მონაწილეობა მოლაპარაკებაში და სთხოვეს მოკავშირეებს წარედგინათ თვისი პირობები. ნოვაკოვიჩმა სიტყვიერად განაცხადა: „ბალკანეთის კავშირი მოითხოვს ოსმალეთისაგან ყველა მის სამფლობელოს დათმობას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მალატრის ნავთსადგურიდან (შავი ზღვა) დაწყებული ქსეროსამდე (მარმარილოს ზღვა), აგრეთვე ეგეისა და ხმელთაშუა ზღვაზე მდებარე კუნძულებს. დათმობილ ადგილებში უნდა შევიდეს ალბანეთიც, რომლის საზღვრები და მართველობის წესი შემდეგ უნდა გამოირკვესო“. რეშიდ-ფაშამ მოისმინა მოკავშირეთა პირობები და თავაზიანი კილოთი უპასუხა: „მე ვთხოვ მოკავშირეთ, გვიბოძონ ეს პირობები წერილობითი მისი დაწვრილებით შესწავლა.“ რწმუნებულები გავიდნენ სათათბიროდ და დასწერეს თვისი მოთხოვნილებანი. შემდეგი სხდომა 14 ქრისტიშობისთვეს უნდა მომხდარიყო, მაგრამ ოსმალებმა განაცხადეს, ამ ხნის განმავლობაში ვერ მოვასწრებთ პირობების განხილვასო. ამიტომ მორიგი სხდომა 15 ქრისტიშობისთვისთვის დაინიშნა.

მოთხოვნილებათა მეორე მუხლი.

ლონდონი. მოკავშირეთა მოთხოვნილების მეორე მუხლი, რომელიც სხდომაზე არ ყოფილა გამოქვეყნებული, სამხედრო ხარჯის ანაზღაურებას ეხება.

საფრანგეთის შუამდგომლობა

ლონდონი. ჰფიქრობენ, რომ თუ სამშვიდობო მოლაპარაკება უშედეგოდ გათავდა, საფრანგეთი იკისრებს, ოსმალეთისა და მოკავშირეების მორიგებასო.

ოსმალეთის გადაწყვეტილება.

სტამბოლი. 10 ქრისტიშობისთვეს საღამოს ოსმალეთის მთავრობამ აცნობა თავის წარმომადგენლებს ლონდონში: თუ მოკავშირეებმა არ მიიღონ ალყაშემორტყმულ ციხეთათვის სურსათის მიწოდების წინადადება, მოლაპარაკება დაუყოვნებლად შესწყვიტეთო.

რუსეთის ოპტიმიზმი.

პეტერბურგი. ოფიციალურ წყაროებიდან იუწყებიან, რომ, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებისა, სულ მოკლე ხანში მაინც ჩამოვარდება მშვიდობიანობა ოსმალეთსა და ბალკანეთის მოკავშირეთა შორისაო.

ბულგარეთის აზრი.

ლონდონი. „რუსკოე სლოვ.“ კორესპონდენტისათვის ბულგარეთის ერთ წარმომადგენელს უთქვამს: ადრიანოპოლის საკითხში დაჟინება ოსმალებს არას მოუტანს. ჩვენ, ბულგარელებს, გვინდა ადრიანოპოლი, გვესაჭიროება იგი და, მაშასადამე, კიდევაც მივიღებთო.

ბალკანეთი და ევროპა

ბულგარეთი.

სოფია. [illegible] გინა პუანკარეს სამადლობელი დეპეშა გაუგზავნონ ბალკანეთის სახელმწიფოთა სასარგებლო სიტყვებისთვისო.

გაზეთებიდან.

ავსტრია და სერბია.

ლონდონი. ბელგრადსა და ვენას შორის ამჟამად რაღაც მოლაპარაკება სწარმოებს. ამბობენ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ურჩია სერბიას, როგორმე ბერხტოლდს შეუთანხმდიო, სერბიელები ამბობენ: რუსეთის დიპლომატია თვითონ გვერეკება ავსტრიისაკენო.

ალბანეთის ავტონომია.

პეტერბურგი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ელჩთა კონფერენციამ პრინციპიალურად მიიღო რუსეთის პროექტი ალბანეთის საკითხისა. პროექტის აზრით ალბანეთის მომავალ ავტონომიაზე საერთაშორისო ფინანსიური და პოლიტიკური მეთვალყურეობა იქნება დაწესებული, ამგვარად ავსტრია—იტალიის შეთანხმებას ალბანეთის საკითხში, რომელიც 1904 წელს მოხდა, ეკარგება ყოველივე მნიშვნელობა.

სერბიის მთავრობის ბოდიში.

ბელგრადი. პაშიჩმა ინახულა ავსტრიის ელჩი უგრონი და სერბიის მთავრობის სახელით მწუხარება გამოსთქვა იმ წყენის გამო, რომელიც კონსულ პროხასკას მიაყენეს პრიზრენში სერბიის მოხელეებმა, მაგრამ ავსტრიის მთავრობა არ დაკმაყოფილდა ასეთი ბოდიშით და მოითხოვა, რომ პრიზრენში, უმაღლეს მოხელეთა თანდასწრებით, პირ და პირ კონსულ პროხასკას წინაშე მოიხადოს სერბიის მთავრობამ ბოდიში, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ავსტრიის შელახულ ღირსებასო.

დეპეშები

(ფეტერბურგის ტელეგრ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

14 დეკემბერი.

ტოკიო. პარლამენტი იმპერატორმა გახსნა. მეფემ სეფე სიტყვა წარმოსთქვა; აღნიშნა მეგობრული ურთიერთობა სახელმწიფოებთან. გაზეთები სწერენ, რომ მოსალოდნელია ქვედა პალატისა და კაბინეტის შეჯახებაო. შესაძლებელია პარლამენტის დათხოვნაც.

მუკდენი. მონარქიის ქადაგებას მანჯურიაში ნაყოფი მოაქვს. მანჯურიის სამეფოს აღდგენის აზრი თან და თან ფეხს იკიდებს. რამდენიმე ადგილას ამბოხება ერთდროს მოხდება. პეკინის მთავრობამ განკარგულება გასცა,—ამბოხების ჩასაქრობად სასტიკი ზომები მიიღონ.

ბერლინი. სუხომლინოვი მოვიდა.

რუსეთი

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტროს ოფიციალური ცნობა: წინააღმდეგ გაზეთების ცნობებისა. ამდღეებში ვიტმერის ქალთა კერძო გიმნაზიაში მომხდარ ამბების თაობაზე, სახალხო განათლების სამინისტრო საჭიროდ სთვლის გამოაცხადოს, რომ ზემოდ აღნიშნულ გიმნაზიის შენობაში (სადოვი ქუჩა. № 1125), 2 დეკემბერს მართლაც, მოხდა სხვა და სხვა საშუალო სასწავლებლების მოწაფე ქალთა და ვაჟთა ნება დაურთველი კრება. პოლიციამ შეიპყრო 34 კაცი, ამათში 32 მოწაფეა და ორი გარეშე პირი. მოსწავლეებში 9 კაცი ეკუთვნის ჩერნიაევის რეალურ კერძო სასწავლებელს 8 ვვედენის გიმნაზიას, 5—მეათე გიმნაზიას, 6 სხვა და სხვა გიმნაზიას, 4 მოსწავლე ქალი კერძო გიმნაზიებს. ზოგიერთ გაზეთებში მოყვანილი ცნობები, ვითომც პეტერბურგის მეხუთე გიმნაზიაში მოხდა მოსწავლე ქალთა და ვაჟთა კრება უზნეო მიზნისთვის და ვითომც ხსენებულ გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლე დააპატიმრესო, სიმართლეს მოკლებულია. მეხუთე გიმნაზიის დირექტორი პასუხის გებაში მისცემს ყალბი ცნობების გავრცელებისათვის. საზოგადოდ არც დაპატიმრების დროს და არც გაჩხრეკის დროს არ აღმოაჩნდათ რა მოწაფეებს ისეთი, რასაც კი შეეძლო გაზეთების ცნობა გაემართლებინა და უზნეობა დაგვეწამებინა. საუბედუროდ ვიტმერის გიმნაზიის შენობაში, სადაც ნებადაურთველი კრება მოხდა, ზოგიერთ მოწაფეს აღმოაჩნდათ ქაღალდები და პროკლამაციები, რაც მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებას ადასტურებდა. ამ მოწაფეთა ბედის საბოლოო გადაწყვეტა გადაეცა საპედაგოგო საბჭოს დადგენილებას. ჯერ-ჯერობით კი გადაწერილი მოსწავლენი დროებით დათხოვნილნი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ „ზვეზდას“ რედაქტორს 129 მუხლ. ძალით სამი წლის ციხე გადაუწყვიტა, „რეჩი“ ს რედაქტორს, ელკინს—2 თვის ციხე.

უმაღლესი ბრძანება.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო სათათბირო შესწყვიტავს მუშაობას 15 ქრისტეშობისთვეს საშობაო დასასვენებლად. მუშაობა განახლდება 1913 წელს 20 იანვარს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 15 დეკემბერს, ქართულ თეატრში ქართ. დრამ. საზოგადოების დასის მსახიობნი პირველად ამ სეზონში წარმოადგენენ ბ-ნ ნ. შიუკაშვილის ცნობილს 4 მოქმედებიან დრამას „სიმახინჯეს“ და ერთ მოქმედებიან მხიარულს ვოდევილს „უბედურს“. წარმოდგენა საღამოს 8 სა·თ. დაიწყება.

სახალხო სახლი. დღეს, 16 დეკემბერს ქართ. სახალხ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ დრამა მუშათა ცხოვრებიდან „უმუშევარნი“ 4 მოქ. თარგ. ლ. ცაგარელისა, რომელმაც პირველ წარმოდგენის დროს სახ. სახლის საზოგადოებაში გამოიწვია კმაყოფილება.

ადგილების ფასი 5 კ. 50 კ-მდე.

27 დეკემბრისათვის განზრახულია სიცილ-ხარხარის საღამო.

სახალხო სახლში სამშაბათს, 18 დეკემბერს, ოსურ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი“ კომედია ოთხ მოქ. ცაგარელისა. თარგმანი მ. თედეევისა. ფასები სახალხოა 5 კ. 50 კ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ავლაბრის სახალხო თეატრი. დღეს, 16 ქრისტეშობისთვეს, ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვალ გუნიას ცნობილი 4 მოქმედებიანი კომედია „ძალა აღმართსა ხნავს“. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

მუსულმანთა აუდიტორია. დღეს, 16 დეკემბერს, ხარფუხის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე სდგამს ირეთელის 4 მოქმედებიან დრამას „ქრისტინეს“. ფასები სახალხოა 4 კ.—40 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 10 უფასო ბილეთი დაეთმობათ ყოველ წარმოდგენაზე უმუშევართ და ულარიბესს მცხოვრებთ.

წერილი რედ. მიმართ

ქართულ გიმნაზიასთან ღარიბ მოსწავლეთათვის არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ კნეინა ეკატერინე მიხეილის ასულმა ერისთავისამ შემოსწირა 25 მანათი, ნაცვლად კონსტანტინე ზაქარიას ძე შანშიევის ცხედრის გვირგვინით შემკობისა; რისთვისაც უგულითადეს მადლობასა ვწირავთ.

სასადილოს გამგეობა.

3 ქრისტეშობისთვეს სახაზინო თეატრში ქართულ გიმნაზიასთან არსებულ ქალთა სკოლის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა სულ ბილეთებისა 1289 მ. 25 კ., შემოწირულებად 158 მ. 35 კ., პროგრამების გაყიდვიდან 46 მ. 70 კ. კონფექტების გაყიდვიდან 12 მან. სულ შემოვიდა—1506 მ. 30 კ.

ხარჯი: ბ ნ ივ. ა. ფალიაშვილს 600 მან., დედოფალ მარიამის დაწეს. სასარგებლ. 62 მ. 30 კ., ტანისამოსის შესანახი 104 მ. 90 კ., განცხადებათა დაბეჭდვა და გაკვრა 6 მ., კაპელდინერებს პროგრამებისა 3 მან. სულ 776 მ. 20 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 730 მ. 10 კ.

შემოსწირეს: ვ. მ. თამამშევმა—25 მ. ი. ა. მანთაშევმა—25 მ. მ, მ. მირიმანოვისამ—10 მ. ეკატ. მიხ. ერისთავისამ—10 მ. ფ. ი. პოპოვმა—5 მ. ვ. ა. ევანგულოვმა—3 მ. ტ. ა. ამბარცუმოვმა—3 მ. გ. მ. თუმანიშვილმა—1 მ. გ. მ. სმირნოვმა—1 მ. კნ. ი. ა. გრუზინსკისამ—1 მ. კნ. ნ. დ. ჯორჯაძემ—1 მ. ე. ვ. გარსევანიშვილმა 3 მ. კ. გ. ამირაჯიბმა—3 მ. კნ. ნ. ე. ქობულაშვილისამ—3 მ. კნ. ი. ნ. ჯანდიერისამ—3 მ. კნ. პ. ი. თუმანიშვილისამ—13 მ. კნ. ს. ი. მელიქიშვილისამ—13 მ. კნ. ა. ი. ბარათაშვილისამ—3 მ. კნ. დ. რ. ქავქავაძემ 1 მ. კნ. ბეგთაბეგოვისამ—3 მ. რ. ე. ფითოევმა—8 მ. მ. ვ. კასპოვიჩმა 1 მ. 50 კ. ა. ი. მამაცაშვილისამ—1 მ. კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკისამ—3 მ. ნ. ი. საგინაშვილმა—5 მ. კნ. ვ. ნ. არღუთინსკისამ 2 მ. ა. ი. მაჩაბელმა 1 მ. 50 კ. გ. ი. სერებრიაკოვმა—1 მ. ს. ფ. გულისოვმა—2 მ. ნ. დ. ჯავრიშვილისამ—1 მ. კნ. ტ. წერეთელმა—1 მ. 50 კ. ე. ყორღანოვისამ—85 კ.

ყველა ზემო აღნიშნულ პირთ, კონფექტის შემომწირველთა და ყველას ვინც კი რითიმე ხელი შეგვიწყო ულრმეს მადლობასა ვწირავთ.

ქართულ სკოლის სამზრუნველოს საბჭო.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

СИРОЛИНЪ Рошъ

სიროლინი „როშ“-ი

ბავშვებისა და მოზრდილთათვის ნაცადი, დამამშვიდებელი, გამსნელი საშუალება ახალ თუ დაძველებულ ყაბზობისა, ყვანახველისა, ინფლუენციისა, ხველებისა, ფილტვების ანთების შემდეგ.

უზრუნველყოფილია

ჭლექის წინაღმდეგ,

მადას აუმჯობესებს, ნარკოსტიულ ნივთიერებთაგან განწმენდილია, გემო სასიამოვნო აქვს.

იყიდება
ყველა აფთიაქსა
და საათიაქო
მაღაზიებში.

66860

SIROLIN
F. Hoffmann-La Roche & Co.

მოითხოვეთ
უსათუოდ **სიროლინი „როშ“**
ქარხნის ორიგინალურ გასახვევით.

1637

იაფი ვაჭრობა მიხეილის პროსპექტზე დოროჟნოვის გასწვრივ

ევროპიული მაღაზია **ლამფებისა და ჭურჭლის დეპო**

პატივცემულ საზოგადოებას ვაუწყებ, რომ დღესასწაულებისა გამო დანიშნულია მეტისმეტად იაფი ვაჭრობა **ყოველ მეტოქეობის გარეშე**, რაზედაც გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ. **გვაქვს აურ ბ ლი შე რჩეული საქონელი:**

1. ლამფები ჩამოსაკიდი, სასტოლე, კედლისა, საწერ მაგიდისა და სხვა. 2. ჭურჭელი ფაიფურისა, ქაშანურისა, ბროლისა, ჭიქისა, ემალიანი, მელხიორისა, სპილენძისა, ნიკელისა და ალიუმინისა. 3. სამზარეულოს მოწყობილება: დანები, ჩანგლები, კეროსინკები, ფეჩები ოთახის გასათბობად ნავთით. უსუნო და უმკვარტლო—„ფენიქი“—75 მილ. ნიკ.—ღირს 11 მ. ლაქიანი—10 მ. 75 კ., 30 მილ. ნიკ.—7 მ. ლაქიანი 6 მ. 70 კ. 4. სამოვრები სხვა და სხვა ფირმისა და მოყვანილობისსა, როგორც ყვითელი ისე ნიკელისა და ნავთით სადუღებელი. 5. მოხდენილი ნივთები საჩუქრებისათვის. 6. აგრეთვე მეტად იაფ ფასად გვეშოვება ნაირ-ნაირი სურათებიანი სასუფრე სერვიზი, ყავის მოწყობილება და ინგლისური ჭურჭლეულობა. **აქვე იყიდება ეკონომიური ლამფები—„სირიუს“.**

866 სრულის პატივისცემით **ა. ს. ეგანოვი.**

მუხრანის კერძო

სამკურნალო

საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:	დილით:
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთ.	სპეკტიორი გ. მ.	$8^1/_2$—$9^1/_2$ ს.
	გაზაზოვი ა. ა.	10—11 ს.
	იაშვილი ა. ლ.	11—12 ს.
	აბაკელია ი. ქ.	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ.	$12^1/_2$—$1^1/_2$ ს.
სადოსტაქრო სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი.	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა.	12—1 ს.
	ჯაში ი. ი.	$9^1/_2$—$10^1/_2$ ს.
საშარდე და გვამის სადოსტაქ. სნეულებ.	გრიგორიანი ა. ი.	11—12 ს.
სნეულებ. საშვილოს. და საბებ. ბით.	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.	11—12 ს.
	ლოლობერიძე	$12^1/_2$—$1^1/_2$ ს.
სნეულებ. ყურ., ყელის და ცხვ.	შტრეიხერი მ. ა.	12 $12^1/_2$ ს.
ცუდი სენი და კანის სნეულებ.	შაპელნიკოვი გ. ი.	$1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძირის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას,

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

საკრედიტო. მომხმარებელ და სხვა კოოპერატივებში და აგრეთვე **ჟურნალ-გაზეთების აგენტებთან და წიგნის მაღაზიებში მიიღება 1913 წლის ხელის მოწერა** სახალხო, ყველასათვის გასაგები და ხელმისაწვდომი, საკოოპერაციო, საზოგადო—ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალ

„შრომის კავშირზე“. (წელიწადში გამოვა 36 ოც გვერდიანი ნომერი და ყოველთვიური საგანგებო საკოოპერაციო და საეკონომიო ჟურნალ „კოოპერაცია“-ზე. „შრომის კავშირი“ ღირს: 1 წლით—9 აბაზი; 6 თვით—90 კ., 1 თვით—15 კ. „კოოპერაცია“ ღირს: 1 წლით—6 აბაზი; 6 თვით—60 კ., 1 თვით—10 კ.

ხალხში გასავრცელებლად ერთი ადრესით რამდენიმე ცალის გამომწერთ „შრომის კავშირი“ და „კოოპერაცია“ დაეთმობა შემდეგ შეღავათიან ფასებში:

ცალი	„შრომის კავშირი“						„კოოპერაცია“					
	წლით.		½ წლით.		1 თვით.		წლით.		½ წლით.		1 თვით.	
	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
2	3	50	1	75	—	30	2	10	1	05	—	20
5	8	50	4	25	—	71	5	04	2	52	—	42
10	16	—	8	—	1	34	9	88	4	94	2	47
25	37	50	18	75	3	11	19	26	9	63	1	61
50	70	—	35	—	5	84	37	52	18	76	3	11
100	130	—	65	—	10	84	73	04	36	52	6	09
200	240	—	120	—	20	—	142	08	71	04	11	76

კოოპერატივები გზავნიან ფულს ნაწილ-ნაწილად, ყოველ თვის ბოლოს, ხოლო სხვები წინდაწინვე. **მოვუწოდებთ კოოპერატივებს და სხვა დაწესებულებებს გვაცნობონ ადრესი და შეგვიწყონ ხელი ჟურნალის გავრცელებაში.** განცხადების ფასი; ყდის მეორე და 4-ზე—40 კ. სტრიქონი პეტიტით, ხოლო მესამეზე 20 კ. რედაქტორი **იასონ გაბილაია.** გამომცემელი **მომხმ. საზ. „პროგრესი“**

ადრესი: Гор. Кутаисъ Обществу Потребителей „Прогрессъ“. 1640

ახალი ჟურნალი

„წყარო“

1913 წლის, 1 იანვრიდან ქ. ბაქოში გამოვა ქართული ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „წყარო“. პუბლიცისტურ წერილებთან ერთად ჟურნალში სათანადო ადგილი დაეთმობა ბელეტრისტიკას, პოეზიას, კრიტიკას, მკითხველთა წერილებს, კორესპონდენციებს და სხვ. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ქართული მწერლობის საუკეთესო ძალები. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდანვე და ეღირება წლიურად—5 მ. ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ. ცალკე ნომერი ყოველგან 10 კ. რედაქციის მისამართი: г Баку, уголъ Губернской и Спасской № 53 редакція грузинскаго журнала „Цкаро“, тел. 17—30.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Баку. балаханское шоссе, д. Теръ-Акопова № 137 кв. 26 В. Менабде. ქ. ტფილისში ხელის მოწერა შეიძლება დიდუბეში, ბათუმის ქუჩა № 2. სოსო მელიქიშვილთან და ნაძალადევში, მაგისტრალნი ქუჩა № 33, ვიქტორ მაჭავარიანთან.

1639. რედაქტორ-გამომცემელი **ე. თალაკვაძე**

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ჯეჯილი

ოცდა მეოთხე წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ეღირება 4 მან. ქალაქს გარედ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრად დასურათებული საყმაწვილო წიგნი „ჩვენი მეგობრები“.

ხელის მოწერა მიიღება ჯეჯილის რედაქციაში და საკუთარ აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Редакц. Грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

1621 რედაქტ.-გამომცემელი **ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.**

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ზიზილალა,

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძმველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში

მოხარშული დოში, ზურგიელი,

და ყოველგვარი

შაში ხიზილალა

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის

„მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება ახლად მიღებული წიგნები.

ნ. მარრ. Исторія термина „абхазъ“ . . . . . ფ. 15 კ.

Грузинскія приписки греческаго Евангелія изъ Коридіи . . . . . . 40 „

Къ вопросу о задачахъ армяновѣдѣнія . . . . . 15 „

Яфетическое происхожденіе абхазскихъ терминовъ родства . . . . 10 „

Объ армянской иллюстрованной рукописи изъ Халкедонитской среды . . . 10 „

Гдѣ сохранился сванское склоненіе? . . . . . 10 „

Происхожденіе изъ охотничьяго быта двухъ грузинскихъ терминовъ уголовнаго права: გერში და სანაზირო . . . . . 15 „

Яфетическіе элементы въ языкахъ Арменіи I . . . 5 „

იგივე . . . II . . 15 „

იგივე . . . III . . 15 „

Къ вопросу о положеніи абхазскаго языка среди яфетическихъ. . . . . 65 „

Paul Peeters, S. I. S. Romain le Neomartyr რომანოზ ახალ-მოწამე ქართული ისტ. წყაროებით. 10 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ახალი ჟურნალი

„განთიადი“

1913 წლის პირველ იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი

„ანთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთის მეტყველება და ფილოსოფია: 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო; 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4 მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7 კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) [illegible] სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10 მამათა ცხოვრება: 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ეღირება წლიურად 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურად 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში დაეთმობათ ჟურნალი სახალხო სკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება თავის სკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთად და 10 შაურად ეძლევა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდანვე ქ. ქუთაისში ი. კვიცარიძის გაზეთების კანტორაში, მთავ... იშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.

1615 რედაქტორ-გამომცემელი მღ ს. ჭეიშვილი.

ამ წლის ათ დეკემბრიდან ქ. ქუთაისში გამოვა ახალი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„მერცხალი“

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მ. 50 კ., თვიურად ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარედ—90 კაპ. ცალკე ნომერის ფასი ყველგან ერთი შაურია. საზღვარ გარედ—14 მან. განცხადება: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **პ. ბაბუნაშვილი.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: ქუთაისი, ვორონცოვის ქ. **რაჟდენ დიმიტრის ძე მიქაძეს.**

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში ლევან ბუაძესთან დიდუბეში ბათომის ქ. № 2.

რედაქციის ადრესი: პუშკინის ქუჩა **სახ. ჭეიშვილისა, № 12.**

1628.

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

ალექსანდრეს საავადმყოფოში

(დიდი მთავრის ქუჩა № 103)

ათაშანგით (სიფილისით), ვენერიულ და კანის ავადმყოფთა მისაღებად

შემდეგი წესია:

ა) საავადმყოფოში იღებენ ორთავე სქესის ავადმყოფთ, საზოგადო პალატაში თვიურად 15 მანათად; ყოველ 10 დღის გარდასახადი წინდაწინვე უნდა წარადგინონ: ხოლო ის ავადმყოფნი, რომელთაც საავადმყოფოში ათავსებენ დაწესებულებანი ან ქარხანა-სამრეწველონი—იხდიან თვეში 20 მანეთს.

ბ) საავადმყოფოში არის საგანგებო ოთახებიც სხვა და სხვა ფასიანი, თვეში 40 მანეთიდან 90 მანათამდე.

გ) ღარიბებს ანთავისუფლებენ გარდასახადისაგან, უკეთუ საავადმყოფოს ადმინისტრაცია ამას საჭიროდ დაინახავს.

დ) სადოსტოქარო განყოფილება ღიაა დილის 10—12 საათამდე.

ე) სტაციონ ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე სწარმოებს საღამოს 8 საათამდე. 1619

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აზრაყიანის

საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია და რემინგტონი. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1644. 9)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

მაღაზია ოქროსი, ვერცხლისა, მელხიორისა და ოპტიურ ნივთიერების— საათებისა

ა. ნ. გოლდშტეინისა

გირჩევთ შეიძინოთ მეტის მეტად იაფფასად ყოველგვარი საათები, ოქროსი, ვერცხლისა და მელხიორის ნივთები. ვკისრულობთ საათებისა და ყოველგვარ ოქროს ნივთეულის დამზადება და შეკეთებას, აგრეთვე მონოგრამ. და წარწერების გაკეთებას. 572.

იმერული შამპანიური ღვინოები,

ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში.

„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სიგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 660

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყოველ-კვირეულ საფინანსო და საბირჟო ჟურნალ

გამოცემის მე-4 წ. „ბირჟა“-ზე **კვირაობით გამოდის,**

რომელსაც დამატებად აქვს ცალკე გამოცემა **„ბირჟევოი ეჟემესიაჩნიკ“-ი.**

ჟურნალი „ბ ი რ ჟ ა“ ერთად ერთი ორგანოა, რომელიც ყოველ მხრივ და რაც შეიძლება ზედ-მიწევნით აშუქებს საბირჟო საქმეებს დ ამისათვის **ყველა ფულის პატრონისა, საბირჟო საქმეების კაცისთვის და საკრედიტო დაწესებულებათათვის აუცილებლად საჭიროა.**

ჟურნ. „ბ ი რ ჟ ა“-ს პროგრამა:

1. ჩვენი დღიური: ყოველ-დღიური მიმოხილვა, პოლიტიკ. ეკონომ. და საზ. ხასიათისა, რასაც გავლენა აქვს ფულის ბაზარზე, საკრედ. და სავაჭრო-სამრეწვ. დაწესებ. განსაკუთ. სახელმწიფოებრივ ხასიათისა ან აქციები, რომელიც ბირჟაზე ტრიალებს. პეტერბ. მოსკ. პარიზ. ბერლინ. და ლონდონ. ბირჟ. ყოველ-დღიური მდგომარეობა, თან მოკლედ აღინიშნება ის ქაღალდ., რომელთა მოთხოვნილებამაც იმატა. მიზეზია აღნიშვნა. 2. კვირიდან კვირამდე. საფინანსო მიმოხილვა რუსეთისა დ უცხოეთის ფულისა და ფონდის ბაზრისა, სხვა და სხვა სამრეწველოთა ოპერაციები და მათი გაუმჯობესება ტეხნიკური, საალებმიცემო და საბანკო საქმეებში. 3. ჩვენი საბირჟო საქმე. არსებითი ცვლილებანი პეტერბურგისა, მოსკოვისა, ლონდონისა, ბერლინისა და პარიზის ბირჟათა და აგრეთვე რუსეთის პირველ-ხარისხოვან ბანკების წარმომადგენლების პირად შემადგენლობაში. საბირჟო კომიტეტების განკარგულებანი, რასაც საერთო საიმპერიო მნიშვნელობა აქვს; პეტერბურგისა და მოსკოვის საფონდო ბირჟების საბჭოთა პროექტები. საბირჟო ცხოვრების ოფიციალური ცნობები, რომელიც აწესრიგებს ბირჟის მდგომარეობას, ხასიათსა და მიმართულებას. 4. ჩვენი წინასწარმეტყველებანი. მოკლე აღნუსხვა ცალ-ცალკე მრეწველობათა მახლობელ ხანაში, უწყებულ დროს მათი ღირებულების სიმკვიდრე თუ რყევა ბაზარზე. მათი აწევის, თუ დაცემის მიზეზები; ბირჟაზე მოსალოდნელი გავლენა სხვა და სხვა მოვლენათა. იმის აღნუსხვა, თუ რისი სყიდვა და გასყიდვაა უფრო ხელსაყრელი უწყებულ დროს ბაზარზე.

V **ახალი ამბები:** ოფიციალური ცნობანი: მთავრობის განკარგულებანი და სხვა და სხვა დაწესებულებათაგან მიღებული ზომები ფულის ბაზრისა ფინანსიურ საქმეებისა, ბანკებისა, სააქციონერო და სხვა ფულის საქმეთა მოსაწესრიგებლად, რასაც კი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ბანკების მოქმედების მოკლე მიმოხილვა. ხორბლეულის საქმე. რკინის გზები. ნავთი. ლითონები: თითბერი, ტყვია, პლატინა, თუჯი, რკინა და სხვა. იმის აღნუსხვით, თუ რამდენი რა იშოვება.

VI **მიმოხილვა ბეჭვდითი სიტყვისა:** მოკლე შინაარსი. მოკლედ აღნუსხვა, ან ამონაწერები სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან როგორც რუსეთისა ისე საზღვარგარეთისა, ჩვენის ჟურნალის პროგრამის ფარგლებში.

VII. **მომხდარი საზოგადო კრებანი.** დაწვრილებითი ანგარიშები მომხდარ საზოგადო კრებათა, სააქციონერო დაწყებულებათა, კამათისა და ციფრების აღნუსხვით, საზოგადო კრებათა ოქმები და აქციონერთა კერძო მოსაზრებანი, საზოგადო კრებაზე წარდგენილი.

VIII. **მომავალი საზოგადო კრებანი.** საზოგადო კრების მოხსენებანი და ყველა მოსამზადებელი საბუთების ქაღალდები, ბანკებისა და სააქციონერო დაწესებულებათა მოქმედებათა დასურათება, რამდენადაც საზოგადო კრების დედააზრს გამოჰხატავენ.

IX. **დივიდენდის განყოფილება:** დივიდენდების რაოდენობა და მათი მიცემის დრო: სხვა და სხვა თანხის რაოდენობათა განმარტება სააქციონერო საზოგადოების; დივიდენდისა და სარგებლის განაწილებისა, წესი და ანგარიშების ხასიათი საფინანსო და სამრეწველო დაწესებულებათა, მათის წლიურ ანგარიშით და ბალანსის მიხედვით, რომელიც საზოგადო კრებას წარედგინება.

X. **ძირითად თანხის გადიდება,** მომავალ ფასიან ქაღალდთა გამოცემა, მათი დანიშნულება და სხვა წვრილმანები.

XI. **იურიდიული განყოფილება.** იურიდიულ ხასიათის რჩევა-დარიგებანი სააქციონერო კანონმდებლობისა საბირჟო შეთანხმებიდან გამომდინარე. ურთ-ერთი დამოკიდებულება ბანკებისა და კლიენტებისა, გამგეობისა და აქციონერთა შორის: კერძო პირთა და დაწესებულებათა უფლების ფარგალი და ხასიათი. სახელმწიფო მნიშვნელობის ბაზარზე გამოსული ღირებულებანი უმთავრესად პეტერბურგისა და პარიზისა. პასუხები მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელნიც „ბირჟა“-ს ხელის მომწერნი არიან,—ცნობათა მიცემა ადმინისტრატიულ და სასამართლო დაწესებულებიდან და აგრეთვე გამგეობათა, სხვა და სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან, უწყებულ სამრეწველო საქმის ნამდვილ მდგომარეობის გამორკვევა.

XII. **საფოსტო ყუთი.** ანგარიშები საკომერციო და სასამართლოს დადგენილებათა ბანკებისა, ბირჟისა და სააქციონერო საზოგადოებათა საქმეებზე: სენატის აზრი უწყებულ საკითხებზე.

XIII. **ვადა** მომავალ საზოგადო კრებებისა.

XIV. **ახალ წიგნების ცნობანი:** რუსულ, ნემეცურ და ინგლისურ ენებზე ერთ კვირის განმავლობაში გამოსულ წიგნების სია, რომელიც ეხება საფინანსო, სავაჭრო-სამრეწველო და ეკონომიურ საკითხებს. გამოცემათა და ცალკე წერილთა კრიტიკული განხილვა.

XV. **პეტერბურგის ბირჟა.** არსებულ საბუთების მიხედვით, ერთ კვირის განმავლობაში, შედარებითი შეფასება ფასიან ქაღალდებისა, უმაღლეს და უმდაბლეს მაზანდის აღნიშვნით.

XVI. **უცხოეთის ბირჟა.** უცხოეთის ბაზარზე დატრიალებულ რუსეთის ფასიან ქაღალდების ღირებულება, და უცხოეთის ფასიან ქაღალდების ფასი, რომელსაც კი რაიმე კავშირი აქვს რუსეთის ბაზართან; მათი კავშირი რუსეთში არსებულ სამრეწველო დაწესებულებასთან.

საკუთარი კორესპონდენტი გვყავს პარიზსა, ბერლინსა, ლონდონსა, ნიუ-იორკსა და სხვა ქალაქებში.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ცნობილი სპეციალისტები საბირჟო საფინანსო და საეკონომიო საქმეებისა.

„ფოსტის ყუთში“ ხელის მომწერნი მიიღებენ კითხვის პასუხებს და აგრეთვე ისეთ ცნობებს, რომელთა მიღებაც ხშირად ყოვლად მოუხერხებელია სხვა გზით.

„ბირჟა“ მცოდნე პირთა და ხელისმომწერთა აზრით, საუკეთესო ხელმძღვანელია საბირჟო ოპერაციებში.

ხელის მოწერა მიიღება 1 იანვრიდან. წლიური ხელის მომწერნი, რომელთაც 1912 წ. 31 დეკემბრამდე მთელს ფასს შეიტანენ,—უფასოდ მიიღებენ 1913 წ. დასაწყისში 1913 წ. „ბირჟევოი კალენდარ“-ს, დიდ წიგნად. ხოლო 1913 წ. ხელის მომწერნი ამის გარდა მიიღებენ „ბირჟის“ ნომრებს 1912 წლისას.

ხელის მოწერის ფასი: წლით—12 მ. ½ წლით—7 მან. 4 თვით—4 მ. 1 თვ.—50 კ. ცალკე № 15 კ.

სანიმუშო ნომერი ეგზავნება 10 კ-ად, საკრედიტო დაწესებულებასა და კანტორებს კი უფასოდ.

„ბირჟევოი ეჟემესიაჩნიკ“-ის კომპლექტები 1910 წ.—6 მან. 1911 წ. — 5 მ. 1912 წ. 4 მ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: С.-Петербургъ, Мойка № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ავგ. ივ. ზეიდმანი.** 1651.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34. ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამი[illegible] იან. იღებენ ქალთა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსაც [illegible] ახლევენ ყოველ დღე, დილის 1—2 ს. [illegible] მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი [illegible] **მიკირტუმოვი.** 1037

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

606“ — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ავახსაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ზაზანახოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბჟეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. ავ. ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქოვა** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბჟეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა[illegible] უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი** 1078

◆ ჭურჭლის მაღაზია ◆

გ. კ. აპრიკოვისა

მიხეილის ქუჩ. № 131, „აპოლლოს“ პროჟექტორის გასწვრივ.

დანიშნულია **იაფი ვაჭრობა** მოკლე დროთი, ბროლისა, ფაიფურისა, ქაშანურისა, ემალიან, ნიკელისა და ალიუმინის **ჭურჭლეულისა** და სამზარეულოს სხვა და სხვა ჭურჭლისა.

მოკლე პრეისკურანტი:

ჭიქები ჩაის დუჟინი 45 კ., ჭიქები ღვინისა 35 კ., ჩაის ლამბაქები 45 კ., ღვინის ფიალები 75 კ., ყავის ფინჯნები (ლამბაქებით) 14 კ., ჩაის 13 კ., სურათებიანი ჩაინიკი 35 კ., ჩაის მოწყობილება 2 მ. 85 კ. და სხვა.

867. გ. ა. აპრიკოვი.

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ფასი 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульвары [illegible] д. 132

პარიზული მაღაზია

ძმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვისა

საგანგებოდ დღესასწაულებისათვის განსაკუთრებულის შეკვეთით **დამზადებულია**

საკუთარ სამკერვალოში უკანასკნელი ახალ-ახალი

შეკერილი ტანისამოსი.

მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის, მეტის-მეტად

ხელმისაწვდომ ფასად.

მაღაზიასთან გვაქვს **სამაგალითო სახელოსნო** შეკვეთის მისაღებად.

ფასები შეუვაჭრებლად.

გოლოვინის პროსპ. [illegible]

ტელეფონი **№ 258.**

1525

ბალკანეთის

ამბების ზამთ

გირჩევთ შეიძინოთ რჩეული და უფრო გავრცელებული ფირფიტები

ბულგარელებისა, სერბიელებისა, ჩერნოგორიელებისა და ბერძენთა

ჰანგებისა, საუკეთესო სამხედრო ორკესტრის მიერ შესრულებული

გრამოფონების ფირფიტებზე

შუმი მარიცა...

ბერძნული,

სერბიული და

ჩერნოგორიული

ჰიმნი...

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ съ ОГР. ОТВ.

TRADE MARK

"GRAMMOPHON"

კავკასიისა და კასპიის მხარისათვის განყოფილება

ტ ფ ი ლ ი ს ი.

გოლოვინის პროსპ. № 9.

სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

1512.

პ. ს. დოროუნოვის

მაღაზიებში

1) **უმთავრესი:** სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი. ტელეფონი № 583. 2) **იაროსლავისა**—მიხეილის ქუჩაზე, ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, ტელეფ. 838.

ყოველ წლიურად მიღებულ წესისამებრ

საშობაო ბაზრობა

უდიდეს იაფ ვაჭრობით

მხოლოდ **6** დღით, ე. ი. 17, 18, 19, 20 21 და 22 ქრისტეშობისთვეს.

—◆ საშობაო ბაზრობისათვის ◆—

გადმოლაგებულია დიდ-ძალი ნაირ-ნაირი რჩეული სასეზონო საქონელი, რომელიც სეზონის დასასრულის მოახლოვებისა გამო გაიყიდება

ნამდვილ ღირებულების მიხედვით, თვალსაჩინო იაფ ფასად.

უზარ-მაზარ ფანჯრებში **გამოფენილია** ყველა განყოფილების საქონლის **ნიმუშები**

გასაოცარ იაფ ფასების აღნიშვნით.

1643 **პ. დოროუნოვი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.